ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 70
(11 629)

10 - 12 სექტემბერი, 2002 წ. ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## მარჯი საქართველოს! ელდარ კურტანიძე მსოფლიო ჩემპიონია!

● ქირინოვსკი აცხადებს, რომ რუსები ქართველებს 5-0 დაამარცხებენ, ნარჩემაშვილი კი გამარჯვებას ჩვენებს უწინასწარმეტყველებს 2-1 ● „რიბოკი" რუსეთის სპორტში 5 მილიონიან ინვესტიციას სდებს ● კიკბოქსინგშიც გვყავს მსოფლიო ჩემპიონი ● დიდ დიღომში სკოლის სპორტულ მოედნებს ავტოსადგომით ავიწროებენ...

## მიხეილ ქორქიას



ბატონო მიხეილ!

მაქვს პატივი საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის, ჩვენი სპორტული საზოგადოებრიობისა და პირადად ჩემი სახელით გულწრფელად მოგილოცოთ დაბადების დღე.

თქვენ ბრძანდებით XX ოლიმპიური თამაშების ერთ-ერთი ტრიუმფატორი, იმ გუნდის წევრი, რომელმაც ისტორიული გამარჯვება მოიპოვა და ოქროს ასოებით შევიდა მსოფლიოს კალათბურთისა და ოლიმპიური თამაშების ისტორიაში. მომდევნო ოლიმპიურ თამაშებში თქვენ ბრინჯაოს მედალიც მოიპოვეთ, რაც ჯერჯერობით საქართველოსთვის ბოლო ოლიმპიური ჯილდოა კალათბურთში. ევროპის და მსოფლიო ჩემპიონობა, მსოფლიოს თასი — აი კიდევ რა ამშვენებს თქვენს სპორტულ ბიოგრაფიას.

გვეამაყება, რომ ესოდენ სასახელო გზა განვლეთ სპორტში და ასევე სასახელოდ დაიმკვიდრეთ ადგილი ცხოვრების სარბიელზე, რომელიც ისევ და ისევ სპორტთანაა დაკავშირებული.

კიდევ ერთხელ გილოცავთ. დაე, მუდამ წარმატებები იყოს თქვენი ცხოვრების თანამდევი.

ირაკლი მეძმარიაშვილი,
საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე.

## მართლა გამოჩნდა, რა ბიჭებიც ვართ!



ქართული ფეხბურთის გულშემატკივართა მორიგი იმედი ბაზელში შვეიცარიის ნაკრებთან კატასტროფული მარცხით დაიმსხვრა.

არადა, მატჩის წინ ქართველები დიდ გულზე იყვნენ, აკი ლევან კობიაშვილმა განუცხადა გერმანელ ჟურნალისტებს — ერთ ქულას არ დავჯერდებითო... სასაცილოა, ის ერთი ქულაც სანატრელი გაგვიხდა!

წაგებაც არის და წაგებაც, მაგრამ თამაშის დონესაც გააჩნია. საქართველოს ნაკრებმა კი ყოვლად უსუსური თამაში აჩვენა. კაცი ვერ გაიგებდა, რა სისტემით, რა ტაქტიკით თამაშობდნენ, დავალება, ცხადია, მიცემული ექნებოდათ ფეხბურთელებს, მაგრამ, როგორც ჩანს, ან ვერ გაუგეს მწვრთნელს, ან საერთოდ არ სურდათ, რომ გაეგოთ. ბევრს გაუჩნდა ეჭვი, რომ საქართვე-

(იხ. მე-4 გვ.)

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაბადების დღეს ულოცავს ლეგენდარულ ქართველ კალათბურთელს, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონსა და მესამე პრიზიორს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს, ღირსების ორდენის კავალერს, მიხეილ ქორქიას.

## მილოცვები

ქ. თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახური და პირადად მისი ხელმძღვანელი დავით ჭელიძე დაბადების დღეს ულოცავენ ბატუტზე ხტომის უბადლო ოსტატს, მსოფლიოს ოთხგზის აბსოლუტურ ჩემპიონს, მსოფლიოს სუპერთასისა და თასის მრავალგზის მფლობელს, ევროპის ოთხგზის ჩემპიონს და არაერთგზის პრიზიორს, ვარჯიშების სირთულეში 1998 წლიდან დღემდე უცვლელ მსოფლიო რეკორდსმენს, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს, ღირსების ორდენის კავალერს რუსუდან ხოფერიას.

* **

ქ. თბილისი მერიის სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურის ტანვარჯიშულ სახეობათა ოლიმპიური რეზერვების სპორტული სკოლა და პირადად მისი დირექტორი როზა ბერიკაშვილი დაბადების დღეს ულოცავენ მსოფლიოს ოთხგზის აბსოლუტურ ჩემპიონს ბატუტზე ხტომაში, მსოფლიო სუპერთასისა და თასის მრავალგზის მფლობელს, ევროპის ოთხგზის ჩემპიონს, 1988 წლიდან დღემდე მსოფლიოს უცვლელ რეკორდსმენს ვარჯიშების სირთულეში, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს, ღირსების ორდენოსანს რუსუდან ხოფერიას.



ფოტო რობერტ ბაგოიანისა

**თავისუფალი ჭიდაობა** **მსოფლიო ჩემპიონატი**

## ოქროს მედალი ყველაზე უკეთ ელდარს დაამშვენებდა, ასეც მოხდა...

თეირანში სრული ანშლაგით ჩაიარა მსოფლის 36-ე ჩემპიონატმა თავისუფალ ჭიდაობაში. ირანის უდიდესი სტადიონის „აზადის" ვეებერთელა დარბაზში, რომელიც 12 ათას მაყურებელს იტევს, ყოველდღე გადაჭედილი იყო. ცხადია, მასპინძლები თანამემამულეებს გულმხურვალედ უჭერდნენ მხარს და ირანელებმა მიაღწიეს კიდეც საწადელს — მეოთხედ გახდნენ მსოფლიოს ჩემპიონები, თანაც, ამჯერად ეს ტიტული რუსეთის ნაკრებს სულ რაღაც ერთი ქულის სხვაობით გამოგლიჯეს ხელიდან. მათი პაექრობა პირველობისთვის სპარსელთა გამარჯვებით 43:42 დასრულდა. ირანის ისლამური რესპუბლიკის სულიერმა ლიდერმა აიათოლა ხომეინიმ უმალვე მიულოცა თავისი ქვეყნის ფალავნებს ეს მიღწევა და უსურვა ახალი წარმატებები. ჩემპიონატზე თავი მოიყარეს 40 ქვეყნის რჩეულმა ათლეტებმა. გუნდი არ გამოაგზავნა ამერიკის



(იხ. მე-2 გვ.)

## გაზეთის დაბეჭდვის წინ:

### ლიუისმა იბფ-ს ჩემპიონობა დათმო



ამიერიდან პროფესიონალ მოკრივე ლენოქს ლიუისი აღარ არის მსოფლიო ჩემპიონი იბფ-ს ვერსიით.

საქმე ის არის, რომ ლიუისმა და მისმა კამპანიამ ჩათვალეს, იბფ-ს ვერსიით მსოფლიო ჩემპიონობის ნომერ პირველ პრეტენდენტთან კრის ბერდთან ბრძოლას აზრი არა აქვს. ამის გამო, იბფ-მ მას ჩამოართვა ჩემპიონის ტიტული.

„დარწმუნებული ვარ, რომ ბერდთან მატჩი არ გამოიწვევს არავითარ აჟიოტაჟს", — განაცხადა ლიუისმა. ამაში შეიძლება ჩვენც დავეთანხმოთ. მართლაც, ტაისონის დამარცხების შემდეგ, ლიუისისათვის უფრო ძლიერი მეტოქის წარდგენაა საჭირო, ვიდრე ბერდია.

ლიუისი ფიქრობს, რომ მომავალ ბრძოლას ვიტალი კლიჩკოსთან ჩაატარებს, თუმცა ეს ბრძოლა ვბც-ს ვერსიით შედგება.

იბფ-ს ვერსიით მსოფლიოს ახალი ჩემპიონის ვინაობა კი კრის ბერდისა და ევანდერ ჰოლიფილდის ორთაბრძოლაში გამოვლინდება.

## ო'სალივანმა მსოფლიო რეკორდი დაამყარა

ირლანდიელმა მძლეოსანმა სონია ო'სალივანმა ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა „გრით საუთ რანის" შეჯიბრებაში, რომელიც პორტსმუტში ჩატარდა.

ო'სალივანმა 10 მილი ზუსტად 51 წუთში დაფარა. წინა რეკორდი — 51,16 წუთი ეკუთვნოდა კოლინ კერკს.



## „დიდი ჩემპიონი" დასცეს

ტოკიოში მიმდინარე სუმოს მიმდევართა შეჯიბრებაზე მსოფლიო მასშტაბის სენსაცია მოხდა: ყველასათვის მოულოდნელად დამარცხდა „დიდ ჩემპიონად" წოდებული იოკობუნა ტაკანოხანა, რომელმაც ვერაფერი გააწყო მონგოლ კიოკუტენხოსთან.

## ჩოგბურთში აშშ-ს ღია პირველობა ქალთა შორის სერენა უილიამსმა მოიგო

6

## „ვერის ბაღში" საჭიდაო აღადგინეს

ვერის ბაღი ერთგვარი სპორტული ცენტრია დედაქალაქში. აქ ერთიმეორის გვერდითაა კალათბურთის ორი სასახლე, კრივის დარბაზი, ალპური კლუბი, ჩოგბურთის კორტები, ჭადრაკის სასახლე. 7 სექტემბერს მას ქართული ჭიდაობის ღია სარბიელიც შეემატა. უფრო ზუსტად, აღსდგა უძველესი საჭიდაო, რომელიც აქ ერთი საუკუნის წინათ იზიდავდა ძველ თბილისელებს. ვერის სასაფლაოს (ამჟამად ბაღის) საჭიდაოზე აიდგა ფეხი ცნობილმა ფალავანმა შაშო ვერელმა (ალექსანდრე კახნიაშვილი) და მისმა ძმებმა გიორგიმ და ირაკლიმ. ვერის ძველ საჭიდაოზე უჭიდავიათ გამოჩენილ ქართველ ფალავნებს: კოსტა მაისურაძეს, მიხა ქურხულს, მიშიკო მაჩაბელს (ციმაკურიძეს), პატარა გლდანელს ცანო

(იხ. მე-2 გვ.)

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი და ტანვარჯიშის სახეობათა ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს ტანმოვარჯიშეთა ძველი თაობის ღირსეული წარმომადგენელი

რევაზ კაჭახიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

პანაშვიდი: 10, 11 IX, 16 სთ გამოსვენება 12.IX 15 საათზე. მისამართი: ნუცუბიძის, 31.

ATHENS 2004

CANDIDATE CITY

# მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 1 წელიწადი და 11 თვე დარჩა

torino 2006

# ზამთრის მომავალ ოლიმპიურ თამაშებს 3 წელიწადი და 5 თვე გვაშორებს

# ოქროს მედალი ყველაზე უკეთ ელდარს დაამშვენებდა, ასეც მოხდა...

*(პირველი გვერდიდან)*

შეერთებულმა შტატებმა უსაფრთხოების მოსაზრებით.

ახლა უშუალოდ ჩვენს ფალავნებზე ვისაუბროთ. თავიდანვე ვიტყვით, რომ გულშემატკივრები შედეგებით უკმაყოფილონი დარჩნენ, და თუმცა ოქრო ოქროა, არა გვგონია ამ ერთმა უმაღლესმა ჯილდომ კმაყოფილი დატოვა ნაკრების ხელმძღვანელები და თვით სპორტსმენები. აბა, ვინ იფიქრებდა, რომ დავით პოლოსიანი შინ მედლით არ დაბრუნდებოდა და გადამწყვეტ პაექრობას თავისზე გამოუცდელ და ნაკლებტიტულოვან მოჭიდავესთან ერევნელ მარგარიანთან წააგებდა. წლეულს დავით ოთიაშვილმა ევროპის ჩემპიონატზე ვერცხლის მედალი მოიგო და მოსალოდნელი იყო, რომ ახლაც გაგვახარებდა, იგივე ითქმის რეზო მინდორაშვილზეც, რომელიც წლეულსვე, ევროპის ჩემპიონატის მესამე პრიზიორი გახდა. და, საერთოდ, სხვებისგანაც მოსალოდნელი იყო წარმატება, რადგან ახლა ნამდვილად მაღალი შესაძლებლობების ათლეტები გვყავს.

რალა თქმა უნდა, საამაყოა, რომ თვით ელდარმა (ფინალში ირანელი რეზა ჰეილარი დაამარცხა) ბოლოს და ბოლოს მიაღწია დასახულ მიზანს. ოქროს მედალი მისებრ ნამდვილად არავის დაშვენდებოდა. ეს ხომ დიდი ხნის ნანატრი ჯილდოა მისთვის ხანგრძლივი და თავდადებული გარჯისათვის.

დამოუკიდებელმა საქართველომ კი მსოფლიო ჩემპიონის რიგით მეოთხე ოქროს მედალი მიითვალა. შეგახსენებთ: მანამდე მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ მოკრივე გირგი კანდელაკი, ძალოსანი გიორგი ასანიძე და მოჭიდავე (ბ/რ) მუხრან ვახტანგაძე.



**ᲙᲕᲐᲠᲪᲮᲚᲑᲔᲙᲘ:**

*55 კგ:* 1. რობერტო მონტერო (კუბა), 2. ნამიკ აბდუვალიევი (აზერბაიჯანი), 3. ალექსანდრ ზახარიუკი (უკრაინა), ... 20. ბესიკ გოჩაშვილი.

*60 კგ:* 1. ხარუნ დოგანი (თურქეთი), 2. არან მარგარიანი (სომხეთი), 3. ოიუნბილეგ პურებაატარი (მონღოლეთი), ...6. დავით პოლოსიანი.

*66 კგ:* 1. ელბრუს თედეევი (უკრაინა), 2. ალი რეზა დაბირი (ირანი), 3. ზაურ ბოტაევი (რუსეთი), ...9. ოთარ თუშიშვილი.

*74 კგ:* 1. მეხდი ხაჯიზადეხი (ირანი), 2. მაგიმედ ისაგაჯიევი (რუსეთი), 3. ახმედ გულხანი (თურქეთი), ...8. გურამ მჭედლიძე.

*84 კგ:* 1. ადამ საიტიევი (რუსეთი), 2. ხოელ რომერო (კუბა), 3. მაჯიდ ხოდაე (ირანი), ... 6. რეზო მინდორაშვილი.

*96 კგ:* 1. ელდარ კურტანიძე (საქართველო), 2. ალი რეზა ხაიდასი (ირანი), 3. ვადიმ ტასოევი (უკრაინა), ...6. გ. გოგშელიძე (რუსეთი).

*120 კგ:* 1. დავიდ მუსულბესი (რუსეთი), 2. ალექსის როდრიგესი (კუბა), 3. აიდინ პოლატჩი (თურქეთი), ...4. დავით ოთიაშვილი.

*გუნდური:* 1. ირანი – 43 ქულა, 2. რუსეთი – 42, 3. კუბა – 34, 4. უკრაინა – 33.

# მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს, საქართველო – ქართულ სპორტს!

# „რიბოკი" რუსეთის სპორტს 5 მილიონ დოლარს აძლევს

მსოფლიოში ცნობილმა სპორტნაწარმის ფირმა „რიბოკმა" გამოაცხადა, რომ დაიწყო კამპანია დევიზით: „რიბოკი – რუსეთი – ოლიმპიურ იმედებს". უახლოეს ორ წინაოლიმპიურ წელიწადში „რიბოკი" გეგმავს 5 მილიონზე მეტი დოლარი ინვესტიცია ჩადოს რუსულ სპორტში. ყველაზე მეტი – 4 მილიონი დოლარი გაიცემა პროფესიული სპორტის მხარდასაჭერად. უკვე გაფორმდა კონტრაქტი რუსეთის ტანვარჯიშის ფედერაციასთან ოლიმპიური ნაკრების მთლიანი ეკიპირების თაობაზე. ერთ მილიონზე მეტს ინვესტორი მასობრივი სპორტისთვის გაიღებს.

# SOS

## სკოლის ეზოში ავტოსადგომს ხსნიან

დიდი დიღმის II მიკრორაიონის მცხოვრებლები შეშფოთებულნი არიან – 187-ე საშუალო სკოლის ეზოში სადღელამისო ავტოსადგომის გახსნისთვის უკვე დაუწყიათ მოსამზადებელი სამუშაოები, შემოუღობიათ კიდეც და საყარაულო ჯიხურიც ჩაუდგამთ. ეს სკოლა საცხოვრებელი კორპუსებითაა გარშემორტყმული და მის საფეხბურთო მოედანზე თუ სარბენ ბილიკებზე სისტემატურად ვარჯიშობენ არა მხოლოდ მოზარდები, არამედ საშუალო და უფროსი ასაკის ადამიანებიც.

„ახლა რა გამოდის, ცხვირწინ უნდა დაგვიბინძუროს ჰაერი მანქანების გამონაბოლქვმა, მობრძანდით და ნახეთ, ყოველ დილით და საღამოს რამდენი ადამიანი ვარჯიშობს" – თქვა რედაქციაში მოსულმა ერთმა ქალბატონმა. მეორე დღეს მამაკაცი გვეწვია და დაგვიბარა, რომ მალე მოიტანს რედაქციაში მოსახლეობის ხელმოწერილ საპროტესტო წერილს.

ამასთან, შევიტყვეთ ისიც, რომ 187-ე სკოლას სპორტული დარბაზი გამოკეტილი ჰქონია. არადა, სწავლა დაიწყო.

რედაქცია თხოვნით მიმართავს თბილისის მერიის განათლების განყოფილებას გაერკვეს შექმნილ ვითარებაში. რედაქციას აინტერესებს ისიც, თუ ვინ გასცა პროექტი ან საერთოდ, არის კი პროექტი? ავტოსადგომზე მანქანების მისასვლელად თურმე საცხოვრებელ კორპუსებთან მისადგომი გზის გამოყენება სურთ, რაზედაც მოსახლეობა კატეგორიული წინააღმდეგია.

მიმომხილველი

კიკბოქსინგი | მსოფლიო ჩემპიონატი

# „ოქრო" – მეოთხე ცდაზე

აღმოსავლური ორთაბრძოლების ოსტატებმა შეგვაჩვიეს წარმატებებს და ახლა აღარც გვიკვირს, როცა მათ მიერ მოპოვებული ახალ-ახალი გამარჯვებების შესახებ გვესმის.

იტალიის ქალაქ მასაკარაში ამ დღეებში ჩატარდა მსოფლიოს პირველობა კიკბოქსინგში. 150 ქვეყნის 2500-მდე სპორტსმენს შორის საქართველოს 16 წარმომადგენელი იყო. ჩვენებმა ჩემპიონატზე გასაოცარ შედეგებს მიაღწიეს — ოქრო — 1, ვერცხლი — 2, ბრინჯაოს 6 მედალი — ასეთია მათი მონაგარი.

57 წონით კატეგორიაში პირველობა და ოქროს მედალი საგარეჯოელმა არჩილ ლაფაჩიშვილმა მოიპოვა. არჩილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტია, მუშაობს საკანდიდატო დისერტაციაზე. ადრე იგი საქართველოს სამგზის ჩემპიონი იყო ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. 1992 წელს მსოფლიო ჩემპიონი გახდა ჭაბუკებში, 1994 წელს მსოფლიო ჩემპიონატზე არ წაიყვანეს, რადგან გამგზავრების წინ 100 გრამს ზედმეტს იწონიდა. მაშინ იყო გული რომ გაუტყდა ჭიდაობაზე და კიკბოქსინგში დაიწყო მეცადინეობა. მწვრთნელი გოჩა ჯავახია უმალვე მიხვდა, რომ არჩილი სპორტული ნიჭით იყო დაჯილდოებული. 1997 წლიდან არჩილი ყოველწლიურად მონაწილეობს კიკბოქსინგის მსოფლიო პირველობებზე. სამი წლის განმავლობაში მეოთხე ადგილს იკავებდა. 2000 წელს ვარშავაში ვერცხლის მედალი ხვდა, წლეულს იტალიაში კი — ოქროსი. ამ ჩემპიონატში კიდევ ერთი საგარეჯოელი, რამაზ ჭიაურელი ასპარეზობდა. ახალგაზრდა სპორტსმენმა 63 კგ წონით კატეგორიაში მეოთხე ადგილი დაიკავა.

თამუნა ჯანვერდაშვილი.



*სურათზე: მარცხნიდან — არჩილ ლაფაჩიშვილი, იტალიის ჩემპიონი რობერტო ბენტისი, რომელსაც არჩილმა ფინალი მოუგო და საქართველოს კიკბოქსინგისა და ტაილანდური კრივის ფედერაციის პრეზიდენტი გოჩა ჯავახია.*

# „ვერის ბაღში" საჭიდაო აღადგინეს

*(პირველი გვერდიდან)*

წამალაშვილს), შალვა რჩეულიშვილს, ვახტანგ ციციშვილს, იროდიონ ქიზიყელს, სანდრო კანდელაკს და სხვებს.

ქართული ჭიდაობის ფედერაციის მესვეურებმა იური იმერლიშვილმა, აკაკი ბორცვაძემ, გოგი ბიწკინაშვილმა, გია ჯოხაძემ, გაბრიელ ბარჯაძემ (ინიციატორი), როინ დობორჯგინიძემ, ბორის ქვირიამ, ამირან აფრიამაშვილმა ბარითა და ნიჩბით გაამზადეს საჭიდაო წრე, ნახერხით მოასწორეს და მაყურებლების სკამებიც მოუწყვეს.

7 სექტემბერს გაიმართა ძველი საჭიდაო ტრადიციის აღდგენის ზეიმი.

საჭიდაო გახსნეს ბერმუხა ფალავნებმა: პირველმა ქართველმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა დავით ციმაკურიძემ და ოთარ კანდელაკმა. მათი მამები ასევე ლეგენდარული მიშიკო მაჩაბელი (ციმაკურიძე) და საქართველოს გოლიათი სანდრო კანდელაკი თითქმის ერთი საუკუნის წინ გამოდიოდნენ ვერისუბნის თუ იმ დროისათვის დედაქალაქში მომრავლებულ სხვა ცნობილ საჭიდაო „კრუგებში".

ვერის ბაღის საჭიდაო სარბიელის „გახსნის პრიზზე" გამართულ შეჯიბრებაში ყველაზე საინტერესო, რა თქმა უნდა, აბსოლუტური პირველობა იყო, პირველობა ახმეტელმა გიორგი ყაზილაშვილმა მოიპოვა, რომელსაც მთავარი პრიზი — ჰედილა ხვდა წილად. გამარჯვებული ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა პარლამენტარმა გოგი ლიპარტელიანმა დააჯილდოვა.

აბსოლუტური პირველობის გარდა, კიდევ ოთხ წონით კატეგორიაში გამოვლინდნენ გამარჯვებულნი. ესენი არიან: გიგა ბერიაშვილი (თბილისი), დიმიტრი მულაძე (ხაშური), მამუკა მაზმიშვილი (ქარელი) და გიორგი დემეტრაშვილი (კასპი).

დასრულდა ჭიდაობა და „საჭიდაოს" ჰანგებიც მინელდა. ვერის ბაღის აღდგენილ საჭიდაოზე შეკრებილი ქომაგები კმაყოფილი სახეებით ტოვებდნენ ნაძვნარში მოწყობილ ამ სარბიელს და ორგანიზატორებს ერთადერთ კითხვას უსვამდნენ — როდის დაუკრავს ზურნა და კიდევ როდის მოუხმობს მსაჯი სარბიელზე ფალავნებს. ეს ერთი კვირის თავზე, 14 სექტემბერს მოხდება — ამჯერად სოფლის სპორტსმენთა ფინალურ პირველობას უმასპინძლებს აღორძინებული საჭიდაო არენა.

ბერდო გაბრიელიძე



*სურათზე: „ვერის ბაღის" ახალი საჭიდაო სიმბოლურად ორმა ცნობილმა ფალავანმა დავით ციმაკურიძემ და ოთარ კანდელაკმა გახსნეს, რომელთა მამებსაც ოდესღაც, აქ ამ ბაღის ძველ საჭიდაოზე, თავადაც უასპარეზიათ (ფოტო რობერტ ბაგოიანისა)*

ჯანმრთელობის კუთხე



თერაპევტ ნინო აფაქიძის რედაქციით

# შეიქმნა ნამზეურის შემცვლელი აბი

## კაცობრიობამ შეიძლება უარი თქვას მზის აბაზანებზე

ავსტრალიაში კიბოს დაავადებათა 80 პროცენტი კანის კიბოზე მოდის. მზეზე მიფიცხება თურმე საზიანოცაა კანისთვის, თუმცა, ბევრს ეს პროცედურა სიამოვნებას ჰგვრის. მელბურნის უნივერსიტეტის ლაბორატორიაში შეიმუშავეს პრეპარატი მელატონანი, რომელიც სტიმულს აძლევს კანის პიგმენტის მელანინის გამომუშავებას. ახალი პრეპარატის გამოყენებით კანი არა მხოლოდ ნამზეურს („ზაგარს") იღებს, არამედ იცავს კიდეც მას მზის სხივების მავნე ზეგავლენისაგან.

ცხოველებზე ჩატარებულმა ცდებმა ვარაუდი გაამართლა — მელატონანის მიღებით მათი კანი გაშავდა. იუწყებიან, რომ ახალი პრეპარატის შემუშავება დაჯდა 10 მილიონი დოლარი, მისი აპრობაცია და დასკვნის მიღება — კიდევ სამოცდაათი. ერთთვიანი დოზა ეღირება დაახლოებით 100 დოლარი, დადებითი ეფექტისთვის წელიწადში ერთი კურსიც ყოფილა საკმარისი.

ჩვეულებრივი „ზაგარისგან" განსხვავებით, მელატონანის გამოყენებით კანი არ ხურდება და არ იწვის. ეს კი დიდ ინტერესს იწვევს ავსტრალიაში, სადაც კანის დაავადებებზე ყოველწლიურად 500 მილიონი დოლარი იხარჯება.

მზის აბაზანების მიღების მსურველი მოსახლეობის მოზიდვით დაკავებული კომპანიები შოკში ჩავარდნენ. რა მოხდება თუ ხალხი ზაფხულობით წყლის სამყაროს აღარ მიაწყდება? მოსალოდნელი ზარალი, ცხადია, კოლოსალური იქნება. ხალხმა შეიძლება მართლაც აიცრუოს გული მზის აბაზანების მიღებაზე, მით უფრო, რომ ამდენს ლაპარაკობენ ეკოლოგიურ პრობლემებზე, თუნდაც წყლების დაბინძურებასა და მზის რადიაციის მომატებაზე.



EURO PORTUGAL 2004

# საკუთარი ლანდის შიშით

ადამიანი ყველაფერ ახალს იმედით ელოდება, გამონაკლისი არც ქართველი გულშემატკივარია, მაგრამ, როდესაც ეს მოლოდინი უსაშველოდ იწელება, გამოსავალიც არსაიდან ჩანს. ანკი, როგორ გამოჩნდება, როდესაც ჩვენს ფეხბურთელებს საკუთარი ლანდის ეშინიათ, არ არსებობს, არც დაცვა, არც თავდასხმა, ყველაფერი კი აბსურდს ემსგავსება.

ახალი ციკლი დავიწყეთ, მაგრამ ამას დასაწყისი არ ჰქვია. ეს ყველაფერი, რაც კვირას ბაზელში, კოხტა სტადიონზე ქართველთა „შესრულებით" ვიხილეთ, ძველის, ხავსმოდებულის, უკვე მრავალჯერ ნანახის და მობეზრებულის განმეორებაა მხოლოდ. უნიათო, უილაჯო, უფერული და, რაც მთავარია, უპერსპექტივო, აი ასეთია, დღეს საქართველოს ეროვნული ნაკრები, როგორი სამწუხაროც უნდა იყოს ამაზე ლაპარაკი, დამალვა და მიჩუმათება არაფერს გვარგებს, პირიქით, ამით დათვურ სამსახურს გავუწევთ საკუთარ თავსაც და ჩვენს ეროვნულ ნაკრებს. დრო დადგა ანალიზისა როგორი მძიმეც არ უნდა იყოს ნაკრებში კარდინალური ცვლილებები. ჯგუფში ხომ შემდგომ მატჩებში შვეიცარიელებზე გაცილებით ძლიერი მეტოქეები გველოდებიან. უეჭველია, ასეთია რუსეთიც და ირლანდიაც, ალბანეთი კი, ყველასთვის უცნობია ალბათ.

ძალიან ვგინდოდა, რაღაც სასიამოვნო, დადებითი დაგვენახა ჩვენი გუნდის თამაშში, მაგრამ... თუმცა არ გვსურს უპერსპექტივო ვუწოდოთ იმას რაც ყველასთვის სათაყვანოა, იმედი, ხომ ბოლოს კვდება.

საბა ლომინაძე

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. X ჯგუფი
**8 სექტემბერი. ბაზელი „სენტ იაკობი". 35 ათასი მაყურებელი**
**შვეიცარია — საქართველო 4-1**
*შვეიცარია:* შტილი, ჰაასი, მანინი, ანშო, მ. იაკინი, ფოგელი (სელესტინი 69), კაბანიასი, მიულერი, ფრეი, ჰ. იაკინი (ვიკი 75), შაპიუზა.
*საქართველო:* გვარამაძე, კობიაშვილი, კალაძე, შეყილაძე, ჯამარაული, ქინქლაძე (ბურდული 46), ცქიტიშვილი, საჯაია (რეხვიაშვილი 46, ყველაშვილი 83), ნემსაძე, დემეტრაძე, შ. არველაძე.
*გოლები:* 1-0 ფრეი (37), 1-1 შ. არველაძე (62), 2-1 ჰ. იაკინი (63), 3-1 მიულერი (74), 4-1 შაპიუზა (82).
*გააფრთხილეს:* შეყილაძე, კალაძე, კობიაშვილი, რეხვიაშვილი, ჰაასი.
*მსაჯი:* ვ. ხრნაკი (სლოვაკეთი).



## X ჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვეიცარია | 1 | 1 | 0 | 0 | 4-1 | 3 |
| რუსეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 4-2 | 3 |
| ალბანეთი | 0 | 0 | 0 | 0 | 0-0 | 0 |
| ირლანდია | 1 | 0 | 0 | 1 | 2-4 | 0 |
| საქართველო | 1 | 0 | 0 | 1 | 1-4 | 0 |



# ახალგაზრდული ნაკრებები

**7 სექტემბერი. გრეხენი „ბრუ". 3.550 ათასი მაყურებელი.**
**შვეიცარია — საქართველო 2-0**
*შვეიცარია:* ვოლფი, შვიგლერი, სენდეროსი, ეგიმანი, როხეტი, ბაზი (ცერონი 85), ბაუმანი (მარაცი 54), დარბელი, სავიჩი, გიგა, მუფი (შტრელერი 72).
*საქართველო:* მამალაძე, უგრეხელიძე, ხიზანეიშვილი, სალუქვაძე, კანდელაკი, სვანაძე, ახალაია (ახალკაცი 30), ორბელაძე (ი. შენგელია 57), დეკანოსიძე, ასათიანი (ინწკირველი 80), ადამია.
*გოლები:* 1-0 მუფი (23), 2-0 სავიჩი (პ. 90).
*გააფრთხილეს:* სავიჩი, მუფი, კანდელაკი, სვანაძე.
*მსაჯი:* ბ. ბენგუერენსა (პორტუგალია).

X ჯგუფი

## ძალა აღმართს ხნავს

ეროვნულ ნაკრებთა შორის თუ გარკვეული თანაფარდობაა და აშკარა ფავორიტის გამორჩევა საკმაოდ ძნელია, ახალგაზრდულ შესარჩევ ციკლში ჩვენს ჯგუფში ნაღდი ფავორიტი ორია. რუსეთი და შვეიცარია. თუ რატომ, ამის გარკვევა შედარებით ადვილია, რაც პირველმა მატჩებმაც ცხადჰყო. თურქებთან მოგებულმა ამხანაგურმა მატჩმა ვახტანგ კოპალეიშვილის ბიჭები და ჩვენც, გულშემატკივრები შვეიცარიელებთან მატჩამდე იმედიანად განგვაწყო, მაგრამ მატჩმა იმედი გაგვიცრუა. შვეიცარიის ახალგაზრდული გუნდი დღესდღეობით ერთ-ერთი უძლიერესია თავის ასაკში. სწორედ, მატჩის წინ კი, ტრავმები მოეძალა ჩვენს ნაკრებს, რაც შედეგზეც აისახა, მეტოქის ზეწოლას ვერ გავუძელით და დავმარცხდით 0-2.

ასეთივე, ორბურთიანი უპირატესობით მოუგო რუსეთის ნაკრებმა ირლანდიელებს. სლავების უპირატესობა იმდენად თვალსაჩინო იყო, რომ მათ მეტი გოლიც უნდა გაეტანათ, მაგრამ კარგად თამაშობდა ბრიტანელთა მეკარე, თუმცა ეს ორი გოლიც გამარჯვებისთვის სრულიად საკმარისი აღმოჩნდა. პირველი ტურის შემდეგ X ჯგუფში ასეთი ვითარებაა:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვეიცარია | 1 | 1 | 0 | 0 | 2-0 | 3 |
| რუსეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 2-0 | 3 |
| ალბანეთი | 0 | 0 | 0 | 0 | 0-0 | 0 |
| საქართველო | 1 | 0 | 0 | 1 | 0-2 | 0 |
| ირლანდია | 1 | 0 | 0 | 1 | 0-2 | 0 |

### სხვა მატჩები

*I ჯგუფი*
სლოვენია — მალტა 1-0, კვიპროსი — საფრანგეთი 0-1
*II ჯგუფი*
ნორვეგია — დანია 3-0, ბოსნია — რუმინეთი 2-1
*III ჯგუფი*
ჰოლანდია — ბელარუსი 0-1, ავსტრია — მოლდოვა 1-0
*IV ჯგუფი*
ლატვია — შვედეთი 0-4, სან მარინო — პოლონეთი 1-5
*V ჯგუფი*
ლიტვა — გერმანია 1-4
*VI ჯგუფი*
სომხეთი — უკრაინა 1-1
საბერძნეთი — ესპანეთი 1-0
*VII ჯგუფი*
თურქეთი — სლოვაკეთი 2-1
პორტუგალია — მაკედონია 1-0
*VIII ჯგუფი*
ხორვატია — ესტონეთი 3-1
ბელგია — ბულგარეთი 3-1
*IX ჯგუფი*
ფინეთი — უელსი 2-1
აზერბაიჯანი — იტალია 0-3

## საქართველოს შს მინისტრს სჯერა, რომ ქართველი ფეხბურთელები რუსეთის ნაკრებს დაამარცხებს

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ უსაფრთხოების გარანტია აღუთქვა რუსეთის ფეხბურთელთა ნაკრებს ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის 12 ოქტომბრის მატჩისათვის. შს მინისტრმა კობა ნარჩემაშვილმა რუს ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მატჩი საქართველოსა და რუსეთის ნაკრებებს შორის სრულ სიმშვიდეში ჩატარდება. მან ისიც გაიხსენა, რომ თბილისში მატჩების სანახავად ჩასულან ინგლისელი, გერმანელი და იტალიელი ფანატები, მაგრამ რაიმე ექსცესები არასოდეს მომხდარა.

ინტერვიუს დასასრულს კობა ნარჩემაშვილი გამოტყდა, რომ ფეხბურთის დიდი გულშემატკივარია, ის კი არა, პროგნოზიც გააკეთა, — კერძოდ, მისი აზრით, 12 ოქტომბრის მატჩს ქართველი ფეხბურთელები მოიგებენ ანგარიშით 2-1.



საქართველოს XIV ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

## უმაღლესი ლიგა, VI ტური

სანაკრებო ევროპულ შესარჩევ ეტაპზე ოქტომბრამდე შესვენებაა. ქართული ფეხბურთი კვლავ ეროვნულ პირველობას მიუბრუნდება და დღეს VI ტურს დაიწყებს.
**10 სექტემბერი:** მერანი — მეტალურგი
**11 სექტემბერი:** ვიტ ჯორჯია — ლოკომოტივი; გორდა — მილანი; ტორპედო — კოლხეთი 1913; დინამო (ბთ) — დილა.
**12 სექტემბერი:** სიონი — დინამო (თბ).

## მსაჯები, ინსპექტორები

**მერანი — მეტალურგი:** მთ. მსაჯი ლ. ფანიაშვილი, ასისტენტები — ზ. მენთეშაშვილი, ზ. ჯვარიძე, მეოთხე მსაჯი — ვ. ელისაბედაშვილი, ინსპექტორი — ი. მჭედლიშვილი.
**ვიტ ჯორჯია — ლოკომოტივი:** მთავარი მსაჯი. მ. მალალურაძე, ასისტენტები — ლ. სილაგავა, მ. ელიკაშვილი, მეოთხე მსაჯი — მ. მაისურაძე, ინსპექტორი — შ. ხინჩაგაშვილი.
**გორდა — მილანი:** — მთ. მსაჯი ა. ორდინიძე, ასისტენტები — ზ. რუსიშვილი, ო. ხეცაძე, მეოთხე მსაჯი — ლ. ფანიაშვილი. ინსპექტორი — გ. ძამუკაშვილი.
**ტორპედო — კოლხეთი 1913:** მთავარი მსაჯი ა. შილაკაძე, ასისტენტები — ი. შალამბერიძე, მ. ჩიგოგიძე, მეოთხე მსაჯი — ქ. მესხი. ინსპექტორი — ა. მილჩენკო.
**დინამო (ბთ) — დილა:** მთავარი მსაჯი დ. სანაია. ასისტენტები — ა. სამხარაძე, ლ. კვარაცხელია, მეოთხე მსაჯი ა. მეშკოვი. ინსპექტორი — ო. გუნთაძე.
**სიონი — დინამო (თბ):** მთავარი მსაჯი ა. შალამბერიძე, ასისტენტები — ლ. მიქელაძე, გ. ცირდავა, მეოთხე მსაჯი პ. დოგრაშვილი, ინსპექტორი — ა. დურსუნიში.

## პირველი ლიგა, II ტური

გუშინ, 9 სექტემბერს
მცხეთა — კოლხეთი (ხობი) 3-0
მერცხალი — სამგურალი 2-0
ქობულეთი — ლოკომოტივი (სამტრ) 1-0
ალაზანი-მერანი — ცხინვალი 0-3
ლაზიკა — ჰაბუკთა ნაკრები 4-3
ლოკო — თსუ 0-2

დღეს, 10 სექტემბერს
გურია — ლოკომოტივი2 (თბ)
დინამო2 (თბ) — ივერია

## ლევან მიქელაძე იტალიაში

ორიოდე დღის წინ ქართველმა მსაჯებმა სლოვენია — მალტის ახალგაზრდულ ნაკრებთა მატჩი იმსაჯეს და აი, გუშინ, უეფადან ახალი დანიშვნის მაუწყებელი ფაქსი მიიღეს — ამჯერად უეფას თასის პირველი ეტაპის განმეორებით მატჩზე. ფიფას ასისტენტი ლევან მიქელაძე იტალიაში „კიევო" — „ცრვენა ზვეზდას" მატჩზე თანამსაჯი იქნება. შეხვედრის მთავარი არბიტრი კი რუსი ბასკაკოვია.

* * *

თურქეთში საწვრთნელ შეკრებაზე მყოფმა ფოთის „კოლხეთმა" ამხანაგურ მატჩში „სამსუნსპორთან" ფრედ 1-1 ითამაშა. სტუმრები, თითქმის მთელი მატჩი წინ იყვნენ, მასპინძლებმა მატჩის მიწურულს შეძლეს ანგარიშის გათანაბრება.

# ვალერი გაზაევი: „ფეხბურთი გააერთიანებს ქართველებს და რუსებს"



*ვალერი გაზაევი სიხარულს ვერ მალავს...*

**რუსეთის ნაკრები ირლანდიელებთან მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ ზეიმს არ წყვეტს. ჩვენი გაზეთის მკითხველთათვის ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ინტერვიუ, რომელიც რუსეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვალერი გაზაევმა „სპორტ-ექსპრესის" ჟურნალისტს მისცა.**

— ყველამ შეიგნო, რომ დიდი საქმე გაკეთდა, რუსეთის ნაკრებმა მეტად საჭირო გამარჯვება მოიპოვა, — განაცხადა ვალერი გაზაევმა, — გვინდოდა, რომ ეს შესარჩევი ციკლი წარმატებით დაგვეწყო და ეს შევძელით კიდეც.

● ***მოელოდით თუ არა, რომ რუსეთის ნაკრები 90 წუთის განმავლობაში შეინარჩუნებდა ასეთ მაღალ ტემპს?***

— თითოეულ ფეხბურთელს კარგად ესმოდა, რომ გამარჯვება იყო საჭირო. ნაკრებმა ლამაზი, შედეგიანი ფეხბურთი აჩვენა. ასეთ დონეზე მატჩები არცთუ ხშირად ტარდება.

● ***ახლა რომ წასულიყო რუსეთის ნაკრები კორეა-იაპონიაში, უკეთეს შედეგს მიაღწევდა?***

— ნუ ვისაუბრებთ ამ თემაზე.

● ***შეგიძლიათ თქვათ, რომ რუსეთის ნაკრები მეათე შესარჩევი ჯგუფის მთავარი ფავორიტია?***

— ამაზე ლაპარაკი ჯერ ადრეა: ჩვენ ხომ ჯერ ერთი მატჩი ჩავატარეთ, თუმცა, ირლანდიელებთან თამაშმა დამაჯერებლობა შემატა რუსეთის ნაკრებს.

● ***საქართველოში ახლა დაძაბული პოლიტიკური ვითარებაა. რას ფიქრობთ 12 ოქტომბრის მატჩზე ქართველებთან?***

— ფეხბურთი ხალხებს აერთიანებს. მჯერა, რომ საქართველო-რუსეთის მატჩი ყველას დაავიწყებს პოლიტიკურ პრობლემებს.

## ჟირინოვსკი ფეხბურთსაც გადასწვდა

კომიკური ორიგინალობით გამორჩეულმა პოლიტიკოსმა, რუსეთის სათათბიროს წევრმა ვლადიმერ ჟირინოვსკიმ ფეხბურთისთვისაც მოიცალა და რუსეთ-საქართველოს შორის დაძაბულობის გაღრმავების ახალი თემა ააგორა. კერძოდ, ეს პარლამენტარი მოითხოვს, რაც შეიძლება სწრაფად ჩაებას საქმეში რუსეთის საფეხბურთო კავშირი, რათა საქართველო-რუსეთის ეროვნული ნაკრებების მატჩი ჩატარდეს სადმე ნეიტრალურ მოედანზე და არამც და არამც თბილისში. ასეთია ჟირინოვსკის მოთხოვნა.



როგორც ცნობილია, ფეხბურთში ევროპის 2004 წლის შესარჩევი მატჩი რუსეთის ნაკრებთან ჩვენმა გუნდმა თბილისში უნდა გამართოს. ჟირინოვსკი ასახელებს სავარაუდო ქალაქებს — ბაქოს ან ერევანს.

რუსეთის საფეხბურთო კავშირის ვიცე-პრეზიდენტმა ვალერი დრაგანოვმა განაცხადა, რომ სულაც არ აპირებენ მოითხოვონ მატჩის თბილისიდან გადატანა. მიუხედავად ამისა, მოსალოდნელი საფრთხის თაობაზე რუსეთის სხვა პოლიტიკოსებიც გამოვიდნენ განცხადებებით.

ვერც რუსეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ვალერი გაზაევი ხედავს მატჩის სხვა ქალაქში ჩატარების საფუძველს. „ფეხბურთი ეს სპორტის ისეთი სახეობაა, რომელიც აახლოებს ხალხებს" — თქვა გაზაევმა.

ჟირინოვსკიმ ამ ორი ქვეყნის ნაკრებების მოსალოდნელი შედეგიც იწინასწარმეტყველა 5-0 — რუსეთელთა სასარგებლოდ...

# მართლა გამოჩნდა, რა ბიჭებიც ვართ!

*(პირველი გვერდიდან)*

ლის ნაკრები შესარჩევი ეტაპისათვის კი არა, ქართული ფეხბურთის მორიგი ჩაფლავებისთვის იყო მომზადებული. ვერ დავიჯერებთ, რომ ჩივაძე შეცდა ფეხბურთელების შერჩევაში. იყო თუ არა უკეთესი ვარიანტი? აი, რა არის მთავარი. როგორ არაო, – იტყვის მავანი, და შეიძლება მართალიც იყოს... უკვე წაგებული მატჩის შემდეგ. ზოგი გაოცებას ვერ მალავს და ამბობს: „გაუგებარია პირდაპირ, რა ესაქმება ნაკრებში ედიკ საჯაიას, რომელსაც მოსკოვის „ტორპედოს" ძირითად შემადგენლობაში არ ათამაშებენ, ანდა, გელა შეყილაძეს, რომელიც „ლიერსმა" ბელგიის მესამე დივიზიონში გადაისროლა.

ფაქტობრივად, დაცვის ხაზი არაფრის მაქნისი იყო. კახი კალაძე კი გამოირჩეოდა, მაგრამ მანაც დაუშვა რამდენიმე შეცდომა.

ნახევარდაცვა საერთოდ არ „ჩანდა". თავად განსაჯეთ: ერთ მომენტში ქართველმა თავდამსხმელებმა 15 წუთის განმავლობაში ბურთი ვერ მიიღეს და ამაში დიდი „წვლილი" ნახევარდაცვას მიუძღვის. მწვრთნელს ბევრი იმასაც უკიჟინებს, რომ ქინქლაძის ეპოქა საბოლოოდ დასრულდა.

და კიდევ ერთი „გმირი", – დავით გვარამაძე. ამ გოლკიპერმა საერთოდ, თავისი ფუნქცია თუ იცის, ესეც საკითხავია. არასოდეს დაავიწყდებათ ქართველ მაყურებლებს „კოშკას" ფეხებშუა გამძვრალი ბურთი!

ასეა თუ ისე, ნაკრებმა კრახით ახლა ევროპის შესარჩევი დაიწყო.

იყო დრო, როცა საკუთარი თავი დავაჯერეთ, თითქოს მსოფლიო საფეხბურთო გრანდებს არაფერში ჩამოვრჩებოდით. მთლად უსაფუძვლო არ იყო ჩვენი ამბიციურობა და ვინ იცის, იქნებ მართლა გავმხდარიყავით რჩეულთა ტოლ-სწორი, ქვეყანა რომ თავზე არ დაგვნგრეოდა. სიამაყე და ამბიცია მაშინ გაჩნდა ჩვენში, როცა ისეთ ძლიერ შეჯიბრებეში ვმონაწილეობდით, როგორიც იყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი. არ შეიძლება იმის თქმა, რომ ეროვნული ჩემპიონატი ნაკრებისთვის არაფერს ნიშნავს. ამის გაფიქრებაც კი დილეტანტობაა. დონით და ოსტატობით საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატი საბჭოთა კავშირის პირველობასთან რომ ვერ მოვა, მტკიცება არ უნდა. ახლა უფრო ლეგიონერთა იმედად ვრჩებით და, რაც გინდათ ის თქვით, არ უნდა ამ ხალხს თამაში, აღარ ჩანს ოდინდელი ჟინი, გულშემატკივარი რომ იტყვის „ჯიგრით თამაში". უჯიგროდ კი მართლა არაფერი გამოვა. ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, თითქოს ეს დალოცვილები პროფესიონალები კი არა, გუშინ ფეხადგმული ახალბედები იყვნენ.

ხშირად არაობიექტურები ვართ შეფასებაში. ახლაც გამოჩნდებიან ისეთები, რომელთა საქციელი ერთ ცნობილ შედარებას მიესადაგება. გახსოვთ ალბათ:

„ცოლი სახლის გადაბუგვითაც გაიხარებდა, ოღონდ ქმარს დაბრალებოდა ხანძრის გაჩენა". დიახ, გამოჩნდებიან ისეთები, ამ მარცხში ფედერაციის დანაშაული რომ სურთ დაინახონ – „ოღონდ ფედერაციას დაბრალდეს"... არადა, ფედერაცია, როგორც იტყვიან, ნაკრებს მართლა თან გადაყვა. კიდევ ვიმეორებთ, არ უნდა ამ ხალხს თამაში და ედავე რამდენიც გინდა.

საბჭოთა დროინდელი ლეგენდარული კომენტატორი თავის რეპორტაჟებში გუნდის ამნაირ თამაშზე ძალიან მარტივად იტყოდა ხოლმე: „ასე თამაში არ შეიძლება"! მართლაც!

მიმომხილველი

# საფეხბურთო რეკორდები „გინესის წიგნიდან"

## მაყურებლები

● **1950 წლის** მსოფლიო ჩემპიონატის მატჩს ბრაზილიისა და ურუგვაის გუნდებს შორის რიო-დე-ჟანეიროს „მარაკანას" სტადიონზე 199.854 მაყურებელი დაესწრო. არაოფიციალური მონაცემებით, ისინი უფრო მეტნიც იყვნენ — 205.000.

● **ბრიტანეთის** კუნძულებზე 1923 წლის 23 აპრილს ინგლისის თასის ფინალური მატჩის დღეს 160.000 გულშემატკივარმა იხილა „ბოლტონ უონდერერსის" გამარჯვება „ვესტ ჰემ იუნაიტედის" გუნდთან შეხვედრაში.

● **ევროპის** ფინალურ სათასო მატჩებზე რეკორდული დასწრება აღინიშნა. ჩემპიონთა თასზე — 1959-60 წ.წ. მადრიდის „რეალი" ხვდებოდა ფრანკფურტის „აინტრახტს" (7-3) — 135.000 მაყურებელი. თასის მფლობელთა თასზე — 100 000 მაყურებელი ესწრებოდა (1964-65 წ.წ.). „ვესტ ჰემ იუნაიტედსა" და „მიუნხენი-1860" (2-0) შეხვედრისას ამდენივე მაყურებელი შეიკრიბა (1981-82 წ.წ.). „ბარსელონა" — „სტანდარტი"-ს (2-1) და უეფას თასზე (1984-85 წ.წ.) მადრიდში „რეალი" — „ვიდეოტონის" საპასუხო მატჩზე (0-1), პირველი შეხვედრა — 3-0.

# ყველაზე ხანდაზმულები და ყველაზე ახალგაზრდები

● **სტენლი** მეტიუზი 50 წლისა და 5 დღის იყო, როდესაც უკანასკნელად ითამაშა პირველ დივიზიონში 1965 წლის თებერვალში („სტოკ სიტი" = „ფულემი").

● **ინგლისის** თასის ფინალური მატჩის ყველაზე ხანდაზმული მონაწილეა უოლტერ ჰემპსონი (1924 წ., 41 წლის და 8 თვის, „ნიუკასლ იუნაიტედი" — „ასტონ ვილა" 2-2).

● **ლესლი** კომპტონის დებიუტი ნაკრებში შედგა 1950 წლის 15 ნოემბერს, ინგლისი — უელსის მატჩში. ის მაშინ 38 წლის და 2 თვის იყო.

● **ბილი მერედითმა** 1920 წლის 5 მარტს ითამაშა უელს — ინგლისის მატჩში, მაშინ იგი 45 წლისა და 229 დღისა იყო.

● **ყველაზე** ახალგაზრდა დებიუტანტები ინგლისის ეროვნულ ჩემპიონატში იყვნენ ალბერტ ჰოლარდი (16 სექტემბერი, 1929 წ.) და კენ რობერტსი (1 სექტემბერი, 1951 წ.), თითოეული 15 წლისა და 158 დღის იყო.

● **ნორმან** უაიტსაიდის დებიუტი ჩრდილოეთ ირლანდიის გუნდში (იუგოსლავიის წინააღმდეგ) შედგა 1982 წლის 17 ივნისს, როცა იგი 17 წლისა და 42 დღისა იყო.

● **ბრაზილიელი** პელე ყველაზე ახალგაზრდა მსოფლიო ჩემპიონია. 1958 წელს იგი სულ 17 წლის და 8 თვის იყო. 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონი, იტალიელი დინო ძოფი 40 წლის და 4 თვისა იყო, როცა ეს ტიტული მოიპოვა.

მოამზადა ნოდარ ბესალაშვილმა

# ბურთი



*ის მაინც ბრუნავს!*

*გალილეო გალილეი*

*რეზო ჭეიშვილი*

იწურება ივნისიც, — თიბათვე, მიედინება მოწეული ხილის დრო, მდინარის ერთ დინებაში ერთხელ შესვლის ჟამი. თავმოხდილ ჰურში ჩაჰხედავს თაკარა მზე და ააბწკიალებს ბჟიტისფერ ღვინოს. დღეიდან წავა დღე კლებაში, დრო — ბრუნვაში, ჟამი — მახსოვრობაში. მივდევ და ვერ ვეწევი, ვრჩები და არ მტოვებს; ნახევარი გავლიე, ერთიმდენგზობა ჩასათვლელი მრჩება.

ნგრევისა და თამაშის ხანაა; ცოცხლებს კლავენ და როგორც ჩვენი წინაპრები იტყოდნენ, — მკვდრებს მარხავენ. იანუარი იყო. იდები აპანის, „კაპიტანში" კაცი ცოცხალი გარდაცვლილად მოვიხსენიე. ერთმა „ფეხბურთმცოდნემ" შემაცდინა მისდაუნებურად. არცოდნა არცოდვაა, თუმცა კი ეს იმას, მით უფრო, ამას არ ამართლებს. იტყვიან კაცზე დღემოუჭმელზე. სალსალამათზე — აღარააო, არადა-არი. ვრცელდება ჭორი განგებისი და უნებური, კაცი იგი კი, ცრუ ხმის გამვრცელებლის სავალალოდ, დიდხანს ცოცხლობს, როგორც წესი, როგორც არგამონაკლისი. ვიყოთ ერთხანს, ვადიდოთ შემოქმედი, — „არსება უმიზეზო, მიზეზი ყოველთა".

ახლა ერთი სამწუხარო და საინტერესო ისტორია, რომელიც „კაპიტანს", — ბორის პაიჭაძეს — უკავშირდებოდა და არ დავაკავშირე, მოვიტოვე თუმც ვერ შევინახე და ვამზეურებ არ უნდა დაიტოვო ამბავი, რომელიც ამბად გაწუხებს და არა — სათქმელად. მსოფლიო კინოს გამოჩენილ კინორეჟისორ რეზო ჩხეიძეს მოუსმინეთ ჩემით, ნუ დაიწყებთ ძიებას — საიდან, სად, როგორ? მარტო აქ და ახლა კი არა, შემდეგ და საერთოდ, უფრო შემდეგ, წიფობისთვემდე.

საზოგადოებას მოსწონს, უყვარს კიდეც, სტენდალის არ იყოს, კერძო ცხოვრებაში ხელების ფათური. ამიტომ ვფარავთ, ვაბნევთ (სიბრძნეს კი არა) მკითხველს, მოვიგონებთ ხოლმე (ისევ სტენდალს ვიშველიებ) ქალაქ ვერიერს, მოქმედებას ბენზანსაში გადავიტანთ, სადაც ავტორი — ანრი ბეილი — არასოდეს ყოფილა.

მაშ ასე:

... ეს მოხდა, ახლავე გეტყვით, 1944, შეიძლება 1945 წლის გაზაფხულზე. უფრო 1944 წელს... ომი არაა დამთავრებული, დიდი ომი, სამამულო ომს ვეძახდით, იცით... დეიდაშვილს ჩემსას — გოჩას მენინგიტი, ტვინის ანთება, დაემართა და განუვითარდა მძიმე ფორმით... დაილუპა, წინასწარ გეტყვით, ათი წლისა ნიჭითა და სიკეთით დაჯილდოებული. ჩვენ მამის დაპატიმრებისა და დახვრეტის, მაშინ არც ვიცოდით თუ დახვრეტილი იყო, შემდეგ უსახლკაროდ დარჩენილები, ქუთაისიდან აყრილნი დეიდასთან შევბარგდით, ბიძამ, დეიდას ქმარმა, შეგვიფარა დევნილები, პატარა ამბავი არ გეგონოთ, ეს ის დროა, როცა სხვაგან ვცხოვრობთ უკვე, მაგრამ ერთმანეთთან სიახლოვე, ერთ ოჯახივით ვართ, არ გაგვიწყვეტია... ბავშვი ავადაა, შემოადნათ მშობლებს ხელში; მძიმე სიტუაციაა... ექიმები თავს ადგანან, მაგრამ საშველი არ ჩანს. ყიფშიძე პროფესორი, ცნობილი და მე ვიტყოდი, ნამდვილად ცნობილი პროფესორი ბაბუად გვეკუთვნოდა; დედა ხომ ყიფშიძის ქალი იყო... ყიფშიძემ ნიკოლოზმა, დიახ, თქვა არის წამალი ერთიო, საიდან გაიგო ვერ გეტყვით, პენიცილინიო... არ გვსმენოდა, პირველად გავიგონეთ, მართალი ბრძანდებით, სად უნდა გაგვეგონა, ხსენება არ იყო. იცინების, თუ ვიშოვითო, ყიფშიძე ამბობს, იმ პენიცილინსო ბავშვის გადარჩენაზეც შეიძლება მაშინ ლაპარაკიო. სადაა მერე ეს პენიცილინი? სადაა და მოსკოვში, კრემლში მხოლოდ და მხოლოდ. იმედის სხივი გამოჰიატდა, ჩაქრა; ომია, სხვას რომ თავი დავანებოთ ყველაფერს. მივიდა დემნა, ბატონი დემნა, კანდიდ ჩარკვიანთან, ასე და ასეა ჩემი საქმეო, შვილი მეღუპება, ან თავი უნდა მოვიკლა ან უნდა ვიშოვნო წამალი, რომელიც მხოლოდ კრემლში, კრემლის საავადმყოფოშია გასაიდუმლოებულიო. შეწუხდა თურმე ჩარკვიანი: რაც არ ითქმება, არც ითხოვება, სახელმწიფო დონეზე, ასეაო... მეო არა მაქვს უფლება მოვითხოვო, უფრო სწორია, ვითხოვო ის, რაც არ არი გამხელილიო... ეტყოდნენ ალბათ — საიდან იცი, ვინ გითხრა და ასე შემდეგ... თვითონ გაგონილი არ ჰქონდა ის წამალი და შეშინდა, ჩემი ლაფერი ესმის, თავს ვერ წევს მხოლოდ... შუბლი თეთრი, ცხელი, თვალები დიდი კითხვის ნიშნის შემცველი, რა მჭირსო...

ხომ არაფერი გინდაო, ჩაძახიან, ნატვრა, რაიმე სურვილი... სიკვდილს წინო, მიჭირს ამის თქმა, მაგრამ ბავშვი განწირული იყო. იცოდნენ, ვიცოდით...

პაიჭაძე მაჩვენეთ, პაიჭაძემ მნახოსო...

ათი წლის ბიჭუნამ პაიჭაძე ინატრა მხოლოდ... ბორის პაიჭაძე, კი ბატონო, ფეხბურთელი... არც მინდა იმ დღის გახსენება... მივიდნენ. ნახეს, მოიყვანეს. თხოვეს, აუხსნეს, წინასწარ... არც შეყოყმანებულა თურმე. თურმე არავის გვიცნობდა, ჩვენ ხომ ვიცნობდით... დემნა შენგელაია გაგონილი ექნებოდა, როგორ არა, იცოდა, მაგრამ პირადად არ იცნობდა, ამის თქმა მინდა... ასე იყო თუ ისე, მოვიდა, მგონი, მოყვა ვიღაც, აღარ მახსოვს. რა უნდა გააკეთოს, ნახოს უნდა მომაკვდავი ბავშვი და წავიდეს... რა დღეში იქნებოდა ჩავარდნილი, ხომ იოლი წარმოსადგენია... ფერი არ ედო სახეზე, შევამჩნიე... არც ერთ საპავარაუდია ეს მხოლოდ. მოკლედ, უარი უთხრა გაუბედურებულ მამას, მაგრამ გზა ასწავლა. რაში მდგომარეობდა ახლა ეს გზა? გეტყვით: გაუგზავნე შეტყობინება ბერიას, აუხსენი შენი მდგომარეობა, გიცნობს, მწერლებს პატივს სცემს (???) იცის, ვინცა ხარ და დაგეხმარებაო... შედიო, ესეც უთქვამს, ფოსტაში, ჩვეულებრივ საფოსტო განყოფილებაში, დაწერე იქვე, მაინცდამაინც იქვე, თხოვნა და იქიდანვე გაუგზავნე ტელეგრამა ბერიას, მიუვაო. დაუჯერებელი იყო და დაუჯერა, სარისკოც იყო ერთგვარად, მაგრამ სხვა რა გზა ჰქონდა... შევიდა მართლაც, ახლა არ ვიცი, ზუსტად — სად, ალბათ, ალბათ კი არა, ნაღდად ცენტრალურ ფოსტაში, „დომ სვიაზს" რომ ვეძახოდით — იქ და გაუგზავნა ტელეგრამა-თხოვნა ბერიას ჩვეულებრივი ბლანკით, ნიხრით და რაც ჰქვია... წამოვიდა. გავაგზავნეო — თქვა. ვიცით. ველით. ბავშვი მძიმედაა, დღეებს ითვლის, ჩვენ ვითვლით, ველოდებით ავს და კარგს და ერთ მშვენიერ დღეს, ნათლად მახსოვს, პატარა კი აღარა ვარ, სკოლას ვამთავრებ, ბოლო კლასში გადავდივარ თუ გადავედი, მოვიდა, უფრო სწორია, მოიტანეს პენიცილინი. ომია ჯერ კიდევ, გზები არაა გახსნილი... რკინიგზა მუშაობს, კი ბატონო, გაჭირვებაა, მაგრამ მე ვიტყოდი, ქაოსი არაა დღევანდელივით, იმედია და რაღაცაა, უკეთესის მოლოდინია, ასე ვიტყოდი...

პენიცილინი, მე მგონი, მგონი კი არა, ეგრე იყო, სამხედრო თვითმფრინავით გამოგზავნეს ... სამი კაცი გამოგვეცხადა, შემოვიდნენ. ერთს, რატომ არ ვიცი, თეთრი ხალათი ეცვა, ორი სამოქალაქო ფორმით იყო, თუმცა მიხვდებოდი, საიდანაც უნდა ყოფილიყვნენ, ეტყობოდათ, ნუ, ეს გასაგებია. აქ ცხოვრობს ესა და ეს პიროვნება, მწერალი? კი ბატონო, აქა ვართ, შემობრძანდით. არ შემოვიდნენ, იქვე გაჩერდნენ შემოსასვლელში. პენიცილინი აქვთ, ვხვდებით შეფუთული ყუთით, კარგად შემობინტული. მოგვიწერეთ ხელი, მიღება დაგვიდასტურეთო. როგორც ხდება. მოუწერეს და წავიდნენ იმწამსვე... რუსები კი, რუსები იყვნენ, რუსულად ლაპარაკობდნენ. ქვემოთ მანქანა უცდიდათ თურმე — „ემ-ადინი", ბავშვებმა თქვეს, აქ იდგაო, მერე. მოკლედ, მოვიდა ეს პენიცილინი, გამოჩნდა ყიფშიძე, სხვებიც მოყვნენ. კონსილიუმივით შედგა, ითათბირეს... ატრიალეს ფლაკონები წაღმა-უკუღმა... ინსტრუქცია არ ახლავს... არ იციან, როგორ უნდა იხმარონ... ნემსისა, მაგრამ როგორ უნდა გახსნან, რაში უნდა გახსნან, რა დოზებით უნდა გაუკეთონ? ისეთი ამბავია. უარი თქვეს. გავიგებთო, სად უნდა გაეგოთ? სახელი არ იციან იმ წამლის თბილისში, არც სხვაგან... სხვათაშორის, დაგვიანებულიც იყოო, ესეც თქვეს, მაინც აღარაფერს უშველიდაო. ალბათ, არ ვიცი, ვერაფერს გეტყვით... ბავშვი გონებაზეა, ყველაფერს ხვდება, ყვესუხისმგებლო თამაშზე არ იღელვებდა ალბათ ისე... ღელვა არც კი ეთქმის იმ მომენტს... ცუდ დღეში ჩავარდებოდა, რაღაცნაირ — უხერხულობაში... მოიტანა ბურთი რეზინის, ახალი... ახლაცაა, მაშინ იშვიათობა იყო, იმნაირი ბურთები — მწვანე, თუ მუქი ცისფერი, წვრილი წითელი, ირგვლივ შემოყოლებული ხაზებით, მოიტანა, დაუდო საწოლზე და წავიდა უხმოდ... სიკვდილის სიმშვიდე დაეუფლა გოჩას... ბურთზე ედო ხელი, ისე მიიბარა უფალმა...

ნათელში იქნება იმისი სული... ტკივილები ნელდება, მაგრამ არ შუშდება ბოლომდე. ჯერ დეიდაჩემი გარდაიცვალაო, შემდეგ, კარგა ხნის შემდეგ, — ბიძაჩემი, ბატონი დემნა. დაიკრძალა, გვახსოვს, დიდუბეში, შემდეგ გადმოასვენეს გოჩა და მიუწვინეს დედმამას.

... გადმოსვენებას დავესწარი, სასახლის — გახსნასაც. ბურთი იდო კუბოში მუქი ცისფერი, წითელკანტებშემოყოლებული, არც დრო მიკარებოდა, არც სიბნელე, წინადღით დადეს თითქო...

ბურთს დრო არ აჩნდა. იგი ახლაც იქა დევს, — ბავშვთან. ბავშვის სული ზეცაშია, — მარადიულ სასუფეველში.

უშველიდა კი ის წამალი — პენიცილინი, მისი წამლობა რომ ეწამებინათ? გადაარჩენდა პენიცილინი ბიჭს ჩემ კბილას, ჩემი თაობისას? ან კი, ან არა. აკი აღინიშნა, დაგვიანებული იყოო. ექიმებმაც ვერ გაბედეს ალბათ... ესეც სავარაუდოა. მარჩიელობა შეგვიძლია ამ საგანზე მხოლოდ და ამასაც აზრი აქვს უკვე დაკარგული. ერთი შეგვიძლია დავძინოთ:

მადლს თუ სიკეთე არ ახლავს, მადლად არ ჩაითვლება; მადლი და სიკეთე სხვადასხვაა? სხვადასხვა უნდა იყოს: დღეუნათლოა უსიკეთო უანგარობა.

„*სიკეთე არც წინაპჭე და ეზო კეთილობისა...* (!) ეს საბაა.

პენიცილინი სოკოვანი ბაქტერიებისაგან შეუქმნია ვიღაც მადლიანს, ვინმე ა. ფლემინგს, ჯერ კიდევ 1929 წელს. ფლამინგო მუქი ვარდისფერი ფრინველია წყალხმელის, დიდფრთიანი, წითელი, მძლავრი. ბურთი მრგვალია, მზის, ცდომილების (დედამიწის) მოდელი, ბურთს თამაშობენ ხელით, თავით, ფეხით, ყველაფრით; ადამიანების, მტრისა და მოყვარის, თავებიც უკოტრიალებია მიწაზე, უთამაშიათ მოჭრილი, გამხმარი და ნედლი თავებით. უხსოვარი დროიდან თამაშობდნენ მრგვალი ბურთით, თამაშობენ და ითამაშებენ, რადგან კაცობრიობამ ბურთზე უკეთესი სათამაშო ვერ გამოიგონა... თამაშით წავიდნენ, მოვედით, წავალთ, მოვლენ. ბურთი დარჩება ცეცხლოვანი, ნარინჯისფერი, ცისფერ-წითელი. „ამოხდება მზე და ჩადის იგი, უბრუნდება თავის ადგილს და კვლავ იქიდან ამობრწყინდება".

*22.6.22*

*„ლიტერატურული საქართველო", №26-02.*

## ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი

X ჯგუფი. 7 სექტემბერი. მოსკოვი. „ლოკომოტივი“. 28 ათასი მაყურებელი.

**რუსეთი — ირლანდია 4-2 (ეროვნული ნაკრებები)**

*რუსეთი:* ოვჩინიკოვი, ნიჟეგოროდოვი, იგნაშევიჩი, ალდონინი, სემაკი (ხოხლოვი 73), იანოვსკი, ონოპკო. გუსევი (სოლომატინი 28), კარიაკა, ლოსკოვი, ბესჩასტნიხი (კერჟაკოვი 46).

*ირლანდია:* გივენი, ფინენი, ჰარტი, კანინინგემი, ბრინი, ჰოლანდი, მაკეიტირი (დოგერტი 65), კინსელა, დაფი (მორისონი 18), რობი კინი, კილბეინი (ბები 86).

*გოლები:* 1-0 კარიაკა (20), 2-0 ბესჩასტნიხი (25), 2-1 დოგერტი (68), 3-1 კერჟაკოვი (69), 3-2 მორისონი (75), 4-2 ბები (88 ს.კ.).

*გააფრთხილეს:* ოვჩინიკოვი.

*მსაჯი:* კ. კალამბო (საფრანგეთი).

## „სიმღი“ რუსთა შესრულებით

ჩვენი შესარჩევი ჯგუფის ფავორიტებად მიჩნეული ნაკრებების მოსკოვური მატჩი კარგი საცქერი და უხვგოლიანი გამოდგა. განსაკუთრებულ ინტერესს ოქტომბერში, ქართველთა მომავალი მეტოქის რუსთა განახლებული ნაკრების თამაში იწვევდა. ვალერი გაზაევის შეგირდებმა პირველი ოფიციალური შეხვედრა ჩინებულად ჩაატარეს და მსოფლიო ჩემპიონატზე თავგამოჩენილ ირლანდიელებს მატჩის გადარჩენის მცირე შანსიც არ დაუტოვეს. თანაც შარშანდელი დამარცხებისთვის რევანშიც აიღეს.



თავად მატჩი ყოველგვარი სიფრთხილისა და ურთიერთმორიდების გარეშე დაიწყეს გუნდებმა. ონოპკოს თავურს და გივენის თავგანწირულ ნახტომს ჰარტის სახიფათო დარტყმა მოჰყვა. მეტოქეებმა ერთმანეთს თავიდანვე საკმაოდ მაღალი ტემპი შესთავაზეს. ერთის შეტევას, მეორის იერიში მოსდევდა. ირლანდიელები ჩვეული სტილით თამაშობდნენ, ენერგიულად, თავგამოდებით. ბრიტანელები აპრობირებული სქემით თამაშობდნენ. ოთხი მცველი ხაზზე, ოთხი ნახევარმცველი და ორი თავდამსხმელი, რობი კინი დაუღალავად მიუძღოდა თანამოძმეთ, გოლსაც იმსახურებდნენ ირლანდიელები, გაიტანეს კიდეც, მაგრამ მათ ორ გოლს მასპინძლებმა ოთხით უპასუხეს და დამსახურებულად გაიმარჯვეს. — „მადლობა ყველას, ბიჭებმა ხასიათი, ოსტატობა და თავდადება გამოამჟღავნეს. ჩვენ ახალი, ძლიერი ნაკრები გვყავს“. — თქვა მატჩის შემდეგ გახარებულმა რუსთა მწვრთნელმა ვალერი გაზაევმა. ამ მატჩით თუ ვიმსჯელებთ, სლავთა ნაკრები მართლაც შეიცვალა. ძირითადად, „ლოკომოტივისა“ და ცსკა-ს ფეხბურთელებით დაკომპლექტებულ ნაკრებში მთავარი როლები ძველი გვარდიიდან ონოპკომ, ახალგაზრდებიდან სამარელმა კარიაკამ და პეტერბურგელმა კერჟაკოვმა შეასრულეს. აღსანიშნავია, რომ გაზაევმა მეტოქეს სამი მცველი, ექვსი ნახევარმცველი და ერთი თავდამსხმელი დაუპირისპირა. ენერგიულმა, მაგრამ სწორხაზოვანმა ირლანდიელებმა, რომლებიც, თითქოს, ტერიტორიულ უპირატესობასაც ფლობდნენ, ცენტრალურ ზონაში რუსთა ასეთ ზეწოლას ვერ გაუძლეს. მასპინძელთა რიგებში ერთი თავდამსხმელიც საკმარისი გამოდგა ოთხი გოლის გასატანად. უდავოდ, გამოსარჩევია „კრილიას“ ნახევარმცველი ანდრეი კარიაკა. მას ჩინებული შორეული დარტყმა აქვს, ტექნიკურია, მოძრავია და საგოლე პასებიც ეხერხება. შეცვლაზე შემოსულმა „ზენიტის“ თავდამსხმელმა კერჟაკოვმა კი სულაც, თითქმის ორი გოლი გაიტანა, მესამე და მეოთხე, რომელმაც თამაშის ბედი მასპინძელთა სასარგებლოდ გადაწყვიტა. თუმცა ბოლო გოლი მისი აქტიურობის გამო ირლანდიელებმა თავად გაიტანეს საკუთარ კარში. მთლიანობაში მატჩმა თვალნათლივ აჩვენა, თუ როგორ სერიოზულ მეტოქეებთან ექნება საქმე ჩვენს ეროვნულ ნაკრებს. წუთიერი მოდუნების უფლებაც კი არ გვაქვს. რუსეთის თამაშში ყურადღება იმასაც უნდა მიექცეს, რომ ქართველებთან მატჩამდე, 12 ოქტომბრამდე, ნაკრებს შეემატებიან ორნი, კაპიტანი ტიტოვი და ვიცე-კაპიტანი სმერტინი, რომლებმაც ირლანდიელებთან ტრავმის გამო ვერ ითამაშეს. მათი გამოჩენა არაფერს დააკნინებს, პირიქით, გააძლიერებს სლავთა ნაკრებს. როგორც ჩანს, გაზაევის ნაკრები შეტევით ფეხბურთს ითამაშებს, გუნდს კონტრიერიშებიც კარგად გამოსდის. სუსტ წერტილებს რაც შეეხება, ასეთი ისევ დაცვაა. ონოპკოს თამადობით მცველები საკმაოდ მჭიდროდ და ხისტად კი თამაშობენ, მაგრამ მეტოქის სწრაფ თავდამსხმელებთან ჭიდილში ერთმანეთის დაზღვევა და თავისუფალი ზონების შევსება უგვიანდებათ და უჭირთ.

**საბა ლომინაძე**



## «კაიზერ ფრანცი»

1958 წელს მიუნხენის „ბაიერნში“ ახალგაზრდა ფეხბურთელი მივიდა, რომელიც თავისი ტექნიკით ყველას აკვირვებდა. როცა ცნობილმა იუგოსლავიელმა მწვრთნელმა ზლატკო ჩაიკოვსკიმ ამ ფეხბურთელის თამაში იხილა პირველად, აღტაცებულმა წამოიძახა: „ისეთ ადამიანთან ერთად, როგორიც ფრანცია, შეიძლება მსოფლიოს დაპყრობა!“ ეს სიტყვები ფრანც ბეკენბაუერის მისამართით იყო გამოთქმული.

ფრანც ბეკენბაუერი დაიბადა 1945 წლის 11 სექტემბერს. ფეხბურთის თამაში ბავშვთა კლუბ „მიუნხენ 1906“-ში დაიწყო. მალე წარმატებებს მიაღწია და მიუნხენის „ბაიერნში“ გადავიდა, ამავე დროს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის 6 იუნიორთა ნაკრებშიც მიიწვიეს. „ბაიერნში“ დებიუტიდან ერთი წლის შემდეგ კი ქვეყნის ძირითად გუნდშიც მიიწვიეს, იქ მან 103 მატჩი ჩაატარა და 14 გოლი გაიტანა, 1966 წელს გერმანიის ნაკრებთან ერთად მსოფლიო ვიცეჩემპიონი გახდა, ოთხი წლის შემდეგ, მექსიკაში ბრინჯაოს მედალს დაეუფლა, ხოლო 1974 წელს მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა. 1972 წელს ევროპის ჩემპიონი იყო, კიდევ ოთხი წლის შემდეგ — ვიცე-ჩემპიონი. სწორედ ამავე წლებში აღიარეს ევროპის ნომერ პირველ ფეხბურთელად.

გარდა ამისა, ბეკენბაუერი ხუთჯერ (1969, 1972-74, 1982 წწ) იყო გერმანიის ჩემპიონი (ოთხჯერ „ბაიერნის“, ერთხელ — „ჰამბურგის“ შემადგენლობაში), ოთხჯერ ფლობდა გერმანიის თასს. 3-ჯერ იყო გერმანიის საუკეთესო ფეხბურთელი.

ბეკენბაუერმა დიდ წარმატებას მიაღწია ევროტურნირებში მიუნხენის „ბაიერნთან“ ერთად — სამჯერ მოიგო ჩემპიონთა თასი (1974-76), თითოჯერ თასების მფლობელთა თასი (1967) და საკონტინენტთაშორისო თასი (1976).

ფრანც ბეკენბაუერი განუმეორებელი ტალანტით ბრწყინავდა, ის ნამდვილი არტისტი იყო მოედანზე. „ლიბეროდ“ თამაშის დროს, ბეკენბაუერმა მთელი თავისი ტექნიკური შესაძლებლობები წარმოაჩინა და ფაქტობრივად, გაამართლა ტერმინი „ლიბერო“, რაც ნიშნავს თავისუფალს, — თამაშის 90 წუთის განმავლობაში ბეკენბაუერი სამ ფუნქციას ასრულებდა — მცველის, ნახევარმცველისა და თავდამსხმელის, თანაც, ყველა რგოლში საუკეთესო იყო! თავის ინტელიგენტური და ელეგანტური თამაშის გამო მას „კაიზერ ფრანცი“ შეარქვეს.

ფეხბურთის სტაჟიან გულშემატკივრებს დღესაც ახსოვთ გოლი, რომელიც ბეკენბაუერმა მსოფლიოს 1970 წლის ჩემპიონატის მეოთხედფინალში, ინგლისის ნაკრების კარში გაიტანა. ამ გოლმა გამარჯვების იმედი ჩაუსახა გერმანიის ნაკრებს, რომელმაც თითქმის წაგებული მატჩი შემოაბრუნა და მსოფლიოს მაშინდელი ჩემპიონი ნახევარფინალის მიღმა დატოვა.

საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ, ფრანც ბეკენბაუერს მაშინვე შესთავაზეს, დაეკავებინა გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტი (1984 წლის ევროპის ჩემპიონატზე წარუმატებლობის შემდეგ ეს პოსტი დატოვა იუპ დერვალმა), მაგრამ, ვინაიდან „კაიზერ ფრანცს“ არ ჰქონდა მწვრთნელობის ლიცენზია, ტექნიკურ მენეჯერად დაიწყო მუშაობა, თუმცა გუნდის ტაქტიკურ თამაშს ფაქტობრივად, ბეკენბაუერი წარმართავდა.

სწორედ ბეკენბაუერის დამსახურება იყო, რომ გერმანიის ნაკრები მსოფლიოს 1986 წლის ჩემპიონატის ფინალში გავიდა, სადაც დიეგო მარადონას და არგენტინის ნაკრებთან დაძაბულ ბრძოლაში წააგო 2-3. არადა, ნახევარფინალში ბეკენბაუერის შეგირდებმა მიშელ პლატინი და



*ბლატერი (მარცხნივ) ფრანც ბეკენბაუერს ულოცავს ფეხბურთში 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების უფლებას.*

მისი ფრანგული კამპანია დაასამარეს!

ოთხი წლის შემდეგ კი ფრანც ბეკენბაუერმა გერმანიის ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონობა მოუტანა, რის შემდეგაც „კაიზერ ფრანცმა“ თავისი პოსტი ბერტი ფოგტსს დაუთმო.

ამჟამად, ბეკენბაუერი არის იმ საორგანიზაციო კომიტეტის წევრი, რომელიც ემზადება ძოძავალ, 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატისთვის, — ამ შეჯიბრებას ხომ გერმანია მასპინძლობს!

მოამზადა
**თენგიზ ჩოგანიძემ**

## საკადრისად დასაჯეს...

**კურიოზი მოხდა ჩეხეთისა და იუგოსლავიის ნაკრებთა შორის პრაღაში გამართულ ამხანაგურ მატჩში. თამაში დათქმულ დროზე ნახევარი საათით გვიან დაიწყო. საქმე იმაშია, რომ ორივე გუნდის მოთამაშეებს მოედანზე გამოსვლის წინ ერთნაირი თეთრი ფერის ფორმები აღმოაჩნდათ. არადა, მატჩის წინა დღეს სტუმარი გუნდის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ იუგოსლავიის ნაკრები ლურჯი მაისურებით ითამაშებდა, თუმცა მოედანზე ისინი რატომღაც თეთრ მაისურებში გამოცხადდნენ. ჩეხები იძულებული შეიქნენ ბაზიდან წითელი მაისურები მოეტანათ.**

**ასეთი უთავბოლო მოქმედებისათვის იგოსლავიელები მასპინძლებმა საკადრისად დასაჯეს — ხუთი უპასუხო გოლი გაუტანეს.**



*ჩეხეთი — იუგოსლავია*

## აფრიკის თასზე

გაიმართა აფრიკის თასის გათამაშების შესარჩევი მატჩები. ფეხბურთის მოყვარულთა დიდ ინტერესს იწვევდა შეხვედრა ლესოტოსა და სენეგალის ნაკრებებს შორის. კამარას მიერ გატანილმა ერთადერთმა გოლმა გამარჯვება მოუტანა სენეგალელთა გუნდს.

ფრედ 0-0 დასრულდა ანგოლა-ნიგერიის მატჩი. ***სხვა შეხვედრები:*** გვინეა — ლიბერია 3-0, ბენიანი — ტანზანია 4-0, სუდანი — ზამბია 0-1, კონგო — ბურკინა ფასო 0-0, სეიშელის კუნძულები — ერითრეა 1-0, ზიმბაბვე — მალი 1-0, ეკვადორული გვინეა — სიერა ლეონე 1-3, ლიბია — ძვ. კონგო 3-2, კოტ დივუარი — სამხრეთ აფრიკა 0-0.

## ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი

***I ტური***

***ჯგუფი 1***

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| სლოვენია | 1 | 1 | 0 | 0 | 3-0 | 3 |
| საფრანგეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 2-1 | 3 |
| ისრაელი | 0 | 0 | 0 | 0 | 0-0 | 0 |
| კვიპროსი | 1 | 0 | 0 | 1 | 1-2 | 0 |
| მალტა | 1 | 0 | 0 | 1 | 0-3 | 0 |

სლოვენია — მალტა 3-0
კვიპროსი — საფრანგეთი 1-2

***ჯგუფი 2***

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუმინეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 3-0 | 3 |
| დანია | 1 | 0 | 1 | 0 | 2-2 | 1 |
| ნორვეგია | 1 | 0 | 1 | 0 | 2-2 | 1 |
| ლუქსემბურ. | 0 | 0 | 0 | 0 | 0-0 | 0 |
| ბოსნია | 1 | 0 | 0 | 1 | 0-3 | 0 |

ნორვეგია — დანია 2-2
ბოსნია — რუმინეთი 0-3

***ჯგუფი 3***

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰოლანდია | 1 | 1 | 0 | 0 | 3-0 | 3 |
| ავსტრია | 1 | 1 | 0 | 0 | 2-0 | 3 |
| ჩეხეთი | 0 | 0 | 0 | 0 | 0-0 | 0 |
| მოლდოვა | 1 | 0 | 0 | 1 | 0-2 | 0 |
| ბელარუსი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-3 | 0 |

ავსტრია — მოლდოვა 2-0
ჰოლანდია — ბელარუსი 3-0

***ჯგუფი 4***

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პოლონეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 2-0 | 3 |
| შვედეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| ლატვია | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| უნგრეთი | 0 | 0 | 0 | 0 | 0-0 | 0 |
| სან მარინო | 1 | 0 | 0 | 1 | 0-2 | 0 |

სან მარინო — პოლონეთი 0-2
ლატვია შვედეთი 0-0

***ჯგუფი 5***

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 1 | 1 | 0 | 0 | 2-0 | 3 |
| შოტლანდია | 1 | 0 | 1 | 0 | 2-2 | 1 |
| ფარერები | 1 | 0 | 1 | 0 | 2-2 | 1 |
| ისლანდია | 0 | 0 | 0 | 0 | 0-0 | 0 |
| ლიტვა | 1 | 0 | 0 | 1 | 0-2 | 0 |

ფარერები — შოტლანდია 2-2
ლიტვა — გერმანია 0-2

***ჯგუფი 6***

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 2-0 | 3 |
| უკრაინა | 1 | 0 | 1 | 0 | 2-2 | 1 |
| სომხეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 2-2 | 1 |
| ჩრ. ირლან. | 0 | 0 | 0 | 0 | 0-0 | 0 |
| საბერძნეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-2 | 0 |

სომხეთი — უკრაინა 2-2
საბერძნეთი — ესპანეთი 0-2

***ჯგუფი 7***

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თურქეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 3-0 | 3 |
| მაკედონია | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| ლიხტენშტ. | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| ინგლისი | 0 | 0 | 0 | 0 | 0-0 | 0 |
| სლოვაკეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-3 | 0 |

თურქეთი — სლოვაკეთი 3-0
ლიხტენშტ. — მაკედონია 1-1

***ჯგუფი 8***

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბულგარეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 2-0 | 3 |
| ხორვატია | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| ესტონეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| ანდორა | 0 | 0 | 0 | 0 | 0-0 | 0 |
| ბელგია | 1 | 0 | 0 | 1 | 0-2 | 0 |

ხორვატია — ესტონეთი 0-0
ბელგია — ბულგარეთი 0-2

***ჯგუფი 9***

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 1 | 1 | 0 | 0 | 2-0 | 3 |
| უელსი | 1 | 1 | 0 | 0 | 2-0 | 3 |
| იუგოსლავია | 0 | 0 | 0 | 0 | 0-0 | 0 |
| ფინეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-2 | 0 |
| აზერბაიჯ | 1 | 0 | 0 | 1 | 0-2 | 0 |

ფინეთი — უელსი 0-2
აზერბაიჯანი — იტალია 0-2

## კანუს თამაში მოენატრა

*ნიგერიელი ფეხბურთელი ნვანკვო კანუ თავისი ამჟამინდელი გუნდიდან — ინგლისური „არსენალიდან“ წასვლაზე ფიქრობს, რადგან, მისივე თქმით, მოსწყინდა სათადარიგოთა სკამის „ხეხვა“ (ბოლო პერიოდში კანუ ვერ ხვდება გუნდის ძირითად შემადგენლობაში). 1996 წლის ოლიმპიური ჩემპიონი თვლის, რომ ის ამ ყოფაზე უფრო მეტს იმსახურებს. „კარგად მესმის, რომ გუნდს, რომელსაც ინგლისის ჩემპიონობა სურს, გრძელი სათადარიგოთა სკამი უნდა ჰქონდეს, თუმცა ეს ბევრი ფეხურთელისთვის მისაღები არ არის და მათ შორის, ჩემთვისაც, — განაცხადა ნიგერიელმა, — მე თამაში მწყურია. თუკი სათამაშო პრაქტიკა არ გაქვს, ვერ გააკეთებ მოედანზე ყველაფერ იმას, რაც შეგიძლია. იმედია, „არსენალის“ ხელმძღვანელობა ჩემს საკითხს გაარკვევს. თუ ასე გაგრძელდა, მე ჩემს გზას დავადგები“.*

### რებროვი შესაძლოა „ლაციოში“ აღმოჩნდეს

*ინგლისური საფეხბურთო კლუბ „ტოტენჰემის“ უკრაინელმა ლეგიონერმა სერგეი რებროვმა განაცხადა, რომ უახლოეს ხანში, მან, შესაძლოა, დატოვოს თავისი ამჟამინდელი კლუბი და სათამაშოდ გადავიდეს იტალიურ „ლაციოში“. თუმცა, ამავე დროს, უკრაინელი იმასაც აცხადებს, რომ „ტოტენჰემში“ დარჩება იმ პირობით, თუკი მთავარი მწვრთნელი გლენ ჰოდლი მას გამოუძებნის ადგილს ძირითად შემადგენლობაში.*



*რებროვი (თეთრ მაისურში)*

# იუგოსლაველებმა მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვეს

## ამერიკელთა „ოცნების გუნდი“ „ჩავარდა“

აშშ-ს ქალაქ ინდიანაპოლისში დასრულდა კალათბურთელ ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატი. შეჯიბრების უდიდესი სენსაცია იუგოსლაველებმა მოახდინეს, რომლებმაც მეოთხედფინალში სძლიეს ამერიკელთა „ოცნების გუნდს“.

უნდა ითქვას, რომ მას შემდეგ, რაც ამერიკელმა კალათბურთელებმა მეორე ჯგუფურ ეტაპზე წააგეს შეხვედრა არგენტინის ნაკრებთან, მათ დამარცხებას იუგოსლაველებთან ბევრი სპეციალისტი ელოდა კიდეც. საქმე ის არის, რომ იუგოსლავიის ნაკრებში ნბა-ში მოთამაშე ხუთი კალათბურთელი ირიცხებოდა. ზოგიერთი სპეციალისტი თვლიდა კიდეც, რომ „ოცნების გუნდი“ სწორედ ამ ევროპულ ქვეყანას ჰყავდა.

თამაშის პირველი ნახევრის შემდეგ იუგოსლაველები 4 ქულით იყვნენ წინ — 40:36. მესამე მეოთხედში ამერიკელებმა დიდებულად ითამაშეს და ერთ მომენტში 10 ქულითაც დაწინაურდნენ — 69:59.



ამერიკელთა გუნდის დაღონებული ლიდერი პირსსი იუგოსლავიური „გაკვეთილის“ შემდეგ...

ბევრი ფიქრობდა, რომ ამერიკელებს არ გაუჭირდებოდათ მატჩის მოგება, მაგრამ იუგოსლავიის ნაკრებს ერთი წამითაც არ შეუწყვეტია ბრძოლა. მათ რამდენიმე შედეგიანი შეტევა განახორციელეს და მატჩის ძირითადი დროის დამთავრებამდე 2 წუთისა და 26 წამით ადრე მარკო იარიჩმა ანგარიში გაათანაბრა — 71:71. აქ გაიბრწყინა იუგოსლავიური კალათბურთის ვარსკვლავმა — დეიან ბოდიროგამ, რომლის შედეგიან სროლებს გუროვიჩის ზუსტი სამქულიანი მოჰყვა და ევროპელები დაწინაურდნენ: თამაშის დამთავრებამდე 10 წამით ადრე ისინი 3 ქულას იგებდნენ (81:78). უკანასკნელ წამებზე გაიბრძოლა რეჯი მილერმა, მაგრამ მის მიერ შესრულებული სამქულიანი სროლა არაზუსტი გამოდგა და აშშ-ის „ოცნების გუნდი“ მსოფლიო ჩემპიონატს გამოეთიშა.

იუგოსლავიის ნაკრებთან ერთად ნახევარფინალში გავიდნენ არგენტინელი კალათბურთელებიც, რომლებმაც ბრაზილიელებს სძლიეს 78:67.

გერმანიის ნაკრებმა შეჯიბრების ერთ-ერთ ფავორიტს — ესპანეთის ნაკრებს მოუგო — 70:62, ხოლო ახალ ზელანდიელებმა პუერტორიკოელებს აჯობეს ორი ქულის სხვაობით — 65:63.

ნახევარფინალში იუგოსლაველებს არ გასჭირვებიათ ახალზელანდიელთა დამარცხება (89:78), ხოლო არგენტინელებმა გერმანიის გუნდი ჩამოაშორეს და ფინალისკენ გაიკვალეს გზა.

გამწარებულმა გერმანელებმა ჯავრი მესამე ადგილისათვის მატჩში ახალზელანდიელებზე იყარეს — 117:94.

მსოფლიოს მე-14 ჩემპიონატის ფინალურ მატჩში ერთმანეთის პირისპირ არგენტინისა და იუგოსლავიის ნაკრები გუნდები წარსდგნენ.

თამაში მეტად დაძაბული და საინტერესო გამოდგა. ძირითადი დრო 75:75 დასრულდა. არადა, ბოლო მეოთხედის დამთავრებამდე რამდენიმე




წამით ადრე იუგოსლაველებმა თამაშის წესი დაარღვიეს არგენტინელი სკონოჩინის წინააღმდეგ, მაგრამ ბერძენმა არბიტრმა ნიკოს პიცილკასმა ამაზე „თვალი დახუჭა“, რასაც არგენტინელის აღშფოთება მოჰყვა.

დამატებით დროში იუგოსლაველებმა იმარჯვეს — 84:77 და მსოფლიო ჩემპიონობა დაისაკუთრეს. მათ რიგებში გამოირჩეოდა დეიან ბოდიროგა, რომელმაც გუნდს 27 ქულა შესძინა: სტოიაკოვიჩის ანგარიშზეა 26 ქულა.

„ეს დიდი გამარჯვებაა, რომელიც მიღწეულ იქნა კალათბურთის სამშობლოში“ — განაცხადა იუგოსლავიის ნაკრების კაპიტანმა ალექსანდრ ჯორჯევიჩმა.

იუგოსლაველთა გამარჯვებამ, ცხადია, იმიჯი შეულახა ამერიკელებს, რომლებიც ახლა უკვე ოთხი წლის შემდეგ შეეცდებიან აღიდგინონ შელახული ავტორიტეტი.

# რუსები „საუკუნის მატჩს“ აგებენ

**მოსკოვში მიმდინარეობს „საუკუნის მატჩი“ რუსეთისა და მსოფლიოს მოჭადრაკეთა ნაკრებ გუნდებს შორის. ორი რაუნდის შემდგ რუსი მოჭადრაკეები ჯერჯერობით აგებენ — 8,5:11,5. გაგაცნობთ ტექნიკურ შედეგებს.**

*პირველი რაუნდი:* ევგენი ბარეევი (რუსეთი) — ალექსეი შიროვი (მსოფლიო) 0,5:0,5, ნაიჯელ შორტი (მსოფლიო) — პეტრ სვიდლერი (რუსეთი) 0,5:0,5, ალექსანდრ მატილევი (რუსეთი) — ვიშვანათან ანანდი (მსოფლიო) 0:1, ვასილ ივანჩუკი (მსოფლიო) — გარი კასპაროვი (რუსეთი) 1:0, ანატოლი კარპოვი (რუსეთი) — ილია სმირინი (მსოფლიო) 0:1, სერგეი რუბლევსკი (რუსეთი) — რუსლან პონომარევი (მსოფლიო) 0,5:0,5; პეტერ ლეკო (მსოფლიო) — ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი) 0,5:0,5, ალექსანდრ ხალიფმანი (რუსეთი) — ტიმურ რაჯაბოვი (მსოფლიო) 0,5:0,5, იუდიტ პოლგარი (მსოფლიო) — ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი) 0-1, ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი) — ბორის გელფანდი (მსოფლიო) 0,5:0,5.

*მეორე რაუნდი:* ბორის გელფანდი (მსოფლიო) — ევგენი ბარეევი (რუსეთი) 0:1, ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი) — ნაიჯელ შორტი (მსოფლიო) 0,5:0,5, ვიშვანათან ანანდი (მსოფლიო) — ვადიმ ზვიაგინცევი (რუსეთი) 1:0, გარი კასპაროვი (რუსეთი), ლეკო (მსოფლიო) 05:0,5, ტიმურ რაჯაბოვი (მსოფლიო) — ანატოლი კარპოვი (რუსეთი) 1:0, რუსლან პონომარევი (მსოფლიო) — ალექსანდრ მოტილევი (რუსეთი) 0,5:0,5, ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი) — ვასილი ივანჩუკი (მსოფლიო) 0,5:0,5, ილია სმირინი (მსოფლიო) — ალექსანდრ ხალიფმანი (რუსეთი) 0,5:0,5, სერგეი რუბლევსკი (რუსეთი) — იუდიტ პოლგარი (მსოფლიო) 1:0, ალექსეი შიროვი (მსოფლიო) — ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი) 1:0.

# სამპრასმა აგასს აჯობა

*დასრულდა აშშ-ის ღია პირველობა ჩოგბურთში ვაჟთა შორის. შეჯიბრების ფინალში ერთმანეთის პირისპირ წარსდგნენ ანდრე აგასი და პიტ სამპრასი.*



სამპრასი

**სპეციალისტები უპირატესობას აგასის ანიჭებდნენ. მით უმეტეს, რომ ნახევარფინალში მან შეძლო ლეიტონ ჰიუიტის დამარცხება. პიტ სამპრასთან თამაში აგასმა ცუდად დაიწყო. პირველი ორი სეტი იოლად დათმო 3-6, 4-6. შემდეგ ძალები მოიკრიბა და მესამე სეტი მოიგო 7:5, მაგრამ პიტ სამპრასმა მეოთხე სეტი ბრწყინვალედ ჩაატარა და გაიმარჯვა 6:4. არიგად, სამპრასი აშშ-ის ჩემპიონი გახდა.**

**ქალთა შეჯიბრების ფინალში, როგორც მოსალოდნელი იყო, დები სერენა და ვინუს უილიამსები გავიდნენ. ჩემპიონობა სერენამ მოიპოვა, რომელმაც საკუთარ დას 6:4, 6:3 მოუგო.**

# მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




10 სექტემბერი, სამშაბათი

*საქართველოს ტელევიზია. ევრიკა.* მსოფლიო სპორტი (20.00), *მე-9 არხი.* მსოფლიო რაგბი (14.00), ევროპის სტადიონებზე (20.00). ***НТВ плюс футбол.*** განვლილი კვირის ჰიტ-პარადი (13.15), ჩემპიონთა ლიგის ახალი სეზონის სტარტის წინ (15.,40, 17.30, 19.15, 20.55), გერმანიის ჩემპიონატი. „ბავარია“ – „მიუნხენ-1860“ (22.55), მიმოხილვა (0.50). ***НТВ плюс спорт.*** ტაილანდური კრივი. პროფესიონალური ორთაბრძოლები (13.15), საცხენოსნო სპორტი. მსოფლიო თასი და კონკურში მსოფლიო თასი (23.20), ***EUROSPORT.*** ჩოგბურთი. აშშ-ის ღია ჩემპიონატი (11.30), ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი-2004. შესარჩევი მატჩები (13.30), საპლაჟო ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი (17.00), სუმო. სუმოს დიდი ტურნირი (23.00).

11 სექტემბერი, ოთხშაბათი

*საქართველოს ტელევიზია. ევრიკა.* მსოფლიო სპორტი (10.45, 22.30), *მე-9 არხი.* ევროპის სტადიონებზე (14.45, 20.00),რუსეთის I არხი. ჭადრაკი. საუკუნის მატჩი. რუსეთის ნაკრები – მსოფლიოს ნაკრები (3.15). ***НТВ плюс футбол.*** გერმანიის ჩემპიონატი (13.15, 15.05), „შტუტგარტი“ – „შალკე“ (21.55), ჩემპიონთა ლიგის ახალი სეზონის სტარტის წინ (16.55, 21.05), ინგლისის ჩემპიონატი (0.55), ***НТВ плюс спорт.*** საცხენოსნო სპორტი. მსოფლიო თასი და კონკურში მსოფლიო თასი (12.15), თავისუფალი ჭიდაობა, მსოფლიო ჩემპიონატი. ფინალური შეხვედრები 55,66,84 კგ წონითს კატეგორიებში (14.30), ფრენბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები (20.55, 23.25), ***EUROSPORT.*** ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი – 2004, შესარჩევი მატჩები (11.30), საპლაჟო ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი (13.30), კლდიდან წყალში ხტომა. მსოფლიო ჩემპიონატი (21.30), სუმო. სუმოს დიდი ტურნირი (22.00), საცხენოსნო სპორტი: სამდღიანი ტურნირი დიდი ბრიტანეთიდან (23.00), ეროვნებათა თასი. „სამსუნგი“. ნიდერლანდებიდან (2.15).

12 სექტემბერი, ხუთშაბათი

*საქართველოს ტელევიზია. ევრიკა.* მსოფლიო სპორტი (10.45, 20.00), *მე-9 არხი.* დოკ. ფილმი „მაიკლ ჯორდანი“ (13.30), ***НТВ плюс футбол.*** ჩემპიონატები: რუსეთის (13.15), გერმანიის (15.30), ინგლისის (17.15), უკრაინის (20.55), ჩემპიონთა ლიგის ახალი სეზონის სტარტის წინ (19.20, 23.45), „ფუტბოლ მუნდიალი“ (23.15). ***НТВ плюс спорт.*** თავისუფალი ჭიდაობა. მსოფლიოს ჩემპიონატი 60,74,96 წონითს კატეგორიებში (14.45), ჩოგბურთი. აშშ-ის ღია ჩემპიონატი. ფინალი. ქალები (17.30), ძალოსნობა. საერთაშორისო ტურნირი. გრან-პრი (20.15), საცხენოსნო სპორტი. მსოფლიო თასი და მსოფლიო თასი კონკურში (23.00), ***EUROSPORT.*** მძლეოსნობა. გრან-პრის სერიის ტურნირი (13.00), სუმო, სუმოს დიდი ტურნირი (23.00).

# უსინათლო მთამსვლელი ისტორიაში შევიდა

ამერიკელი ერიკ ვაიხენმაიერი მსოფლიოში პირველი უსინათლო მთამსვლელია, რომელმაც დალაშქრა ყველა უმაღლესი მწვერვალი მსოფლიოს შვიდივე ნაწილში. ამ დღეებში მან 100 კაციან ჯგუფთან ერთად ფეხი შედგა ავსტრალიის მწვერვალ კოსციუშკოზე, რომელიც 2230 მეტრი სიმაღლისაა, რითაც წერტილი დაუსვა თავის 7-წლიან ლაშქრობებს დედამიწის უმაღლეს მწვერვალებზე.

„ჩემი ასვლებით მინდოდა დამემტკიცებინა, რომ არაფერია შეუძლებელი“ — განაცხადა 33 წლის ვაიხენმაიერმა, რომელმაც მხედველობა მთლიანად დაკარგა 20 წლის წინათ. მიუხედავად ამისა, იგი 16 წელიწადია მთამსვლელობითაა გატაცებული. 1995 წელს კოლორადოს შტატში მცხოვრები ეს უსინათლო მთამსვლელი ჩრდილო ამერიკის მწვერვალ მაკ-კილნზე ავიდა (61930), ორი წლის შემდეგ დალაშქრა კილიმანჯარო (5895), 1999 წელს — აკსნკაგუა (6960), 2001 წელს — ევერესტი (8848), წლეულს — იალბუზი, ახლა — კოსციუშკო.

ჩოგბურთის ოლიმპიური რეზერვების ბავშვთა – მოზარდთა სასპორტო სკოლა (ვერის ბაღი)

## აცხადებს

მიღებას 2002-2003 სასწავლო წლისათვის

— მოსამზადებელ ჯგუფებში (6-11 წლიანები) კვირაში სამჯერადი ვარჯიშით, თვეში 30 ლარი;

— 12 წლისა და უფროსი ასაკის ნიჭიერი ბავშვები მეცადინეობას გააგრძელებენ უფასოდ;

— ის ბავშვები, რომლებიც ვერ მოხვდებიან პერსპექტიულთა შორის, სურვილის მიხედვით მეცადინეობას გააგრძელებენ გამაჯანსალებელ ფასიან ჯგუფებში — თვეში 40 ლარი;

სკოლის დირექცია

# კროსვორდი № 70



თარაზულად: 4. იტალიის საფეხბურთო კლუბი, 8. განელი ფეხბურთელი, თამაშობს „ბავარიაში“, 9. თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიო ჩემპიონი (1969) ქართველი ფალავანი, 10. შვეიცარიის საფეხბურთო კლუბი, 12. პოლონეთის საფეხბურთო კლუბი, 13. ცნობილი პორტუგალიელი ფეხბურთელი, 17. ქართველი ფრენბურთელი — ოლიმპიური ჩემპიონი, 20. ვეტერანი ბრაზილიელი ფეხბურთელი, 21. საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი.

შვეულად: 1. მცირელიტრაჟიანი რუსული ავტომანქანა, 2. ქართველი მოფარიკავე — ოლიმპიური ჩემპიონი, 3. რაგბის საერთაშორისო ფედერაციის აბრევიატურა, 5. ჭიდაობის ილეთი, 6. ქართველი ლეგიონერი ფეხბურთელი, 7. წარსულში ცნობილი მოჭადრაკე ვაჟი დიდოსტატი, 10. მახაჭყალის საფეხბურთო გუნდი, 11. წარსულში თბილისის დინამოს ცნობილი მეკარე-ფეხბურთელი, 14. სხეულის ნაწილი, რომლის ხალიჩაზე შეხება მეტოქეს აძლევს წმინდა გამარჯვებას, 15. ფინური აბანო, 16. პროფესიონალური რუსი ჰოკეისტი, 17. წარსულში ცნობილი ფალავნის გლდანელის სახელი, 18. ცნობილი იაპონელი ფეხბურთელი, 19. საბერძნეთის საფეხბურთო კლუბი.

## კროსვორდი №69. პასუხები

თარაზულად: 2. ლოსაბერიძე, 6. უშუ, 7. ცუგცვანგი, 8. ჟუეფა, 9. ბა, 12. ლინკე, 13. ტრიატლონი, 14. კალცი, 15. ძიუდო, 18. უნსალი, 20. ეფე, 21. შამონი, 22. პილგუი. შვეულად: 1. რურუა, 2. ლოუ, 3. აკვალანგი, 4. როგი, 5. ელკაიერი, 7. ცაავა, 10. ანელკა, 11. „არმინია“, 14. კინგი, 16. დინო, 17. ფეი, 19. ლოუ.

## საჭადრაკო ამოცანა

ა. გალიცკი, 1899 წ.



**შამათი 3 სვლაში**

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:

1. მფh2.
1. ...მფd1 2. ლd4 მფe1. 3. ლg1X;
1. ...f3 2. ლe3+ მფd1 3. ლg1X;
1. ...მფf2 2. ლ:d2+ მფf3 3. ლe2X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ ბაჩეჩილაძე